# მნათობი

9 ISSN 0321-1509
1990

645/1990/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«МАНДИЛИ»
ТРАДИЦИОННЫЙ ГОЛОВНОЙ ПОКРОВ — СИМВОЛ ЛЮБВИ, ДРУЖБЫ, МИРА

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

მთავარი რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

Главный редактор
МАРИКА
БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია:

ნელი ბურბენიძე, ნონა ბაფრინდაშვილი, ნაზი თარგამაძე, ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი), ზინაიდა კვაჭაძე, ნაზი კილასონია, თამარ ლაშქარაშვილი, ქეთევან ლომთათიძე, ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი), ნადია შალუტაშვილი, ლუბა შეწირული, ირმა ჩოფიკაშვილი, ნინო ჯავახიშვილი, ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — ეკატერინე ბალდავაძე — თამარ მეფის პორტრეტი; მეოთხეზე — მოდა.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

ძვირფასო ავტორებო! გთხოვთ 5-6 გვერდიან წერილზე მეტს დასაბეჭდად ნუ შემოგვთავაზებთ

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ. № 14.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. М. Костава, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, ул. М. Костава 14.



მამულიშვილი    ზურაბ გენგიურის ფოტო

# ქართული ეროვნული სკოლა — როგორი იქნება იგი ხვალ?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

19320



ჩვენი მომავალი. დ. იაკობაშვილის ფოტო

ჩვენი ერთ-ერთი საზრუნავია ეროვნული სკოლა, როგორი იქნება იგი, გამოადგება თუ არა მესაძირკვლედ მომავალ თავისუფალ საქართველოს, რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ სკოლამ ღირსეული თაობა აღზარდოს? ამ მიზნით ვესტუმრეთ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეს კოტე გაბაშვილს და ვთხოვეთ რამდენიმე შეკითხვაზე ეპასუხა:

**— ახლახან გამოქვეყნდა ეროვნული კონცეფცია, რომლის მიხედვითაც დაისახა სკოლის სამომავლო ამოცანები. რა ცვლილებები მოხდა ამ კონცეფციის მიხედვით და კიდევ რა არის მოსალოდნელი?**

— სკოლაში მოხდა საათების გადანაწილება. ფართოდ გავრცელდა პროფილური სწავლების ფორმა. იმატა ისტორიის სწავლების საათებმა, შემცირდება რუსული ენის საათები და ამ გზით გაიზრდება უცხო ენების სწავლება. გადაწყვეტილი გვაქვს გიმნაზიების გახსნა, რა თქმა უნდა, სათანადო კადრების მომზადების შემდეგ. კადრებს ახლა განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა.

**— ყველა ამ ცვლილებას, ალბათ, სათანადო, ახალი სახელმძღვანელოები დასჭირდება. ამ მხრივ როგორ არის საქმე?**

— ეს ერთ-ერთი პრობლემატური საკითხია. უნდა გადაიხედოს ყველა ძველი სახელმძღვანელო, რადგან მათი უმრავლესობა საკმაოდ დრომოჭმული და მოძველებულია. სახელმძღვანელოების ერთი ნაწილის დაბეჭდვა ქაღალდის დეფიციტის გამო რუსეთში ხდება, განსაკუთრებით პასუხსაგებია ქართული ლიტერატურის ქრესტომათიული კურსის დაბეჭვდა, რომელიც, ალბათ, ოქტომბრისათვის გამოვა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პროგრამების შემუშავებისა და დახვეწის პროცესიც, რომელიც ახლა მიმდინარეობს. გვაქვს პროგრამების რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი სხვადასხვა საგნებში, რაც არჩევანის ფართო საშუალებას იძლევა.

უნდა აღორძინდეს ფსიქოლოგიის სწავლება, მზადდება პროგრამები ფოლკლორში, უნდა გამოვიდეს მსოფლიო ისტორიის კურსის სამი სახელმძღვანელო, რელიგიის ისტორიის კურსი. მზადდება ეკოლოგიის სახელმძღვანელო, ფიზკულტურა სკოლაში წრეობრივ სავალდებულო სწავლებაზე უნდა გადავიდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს სამინისტროს არა აქვს მატერიალური ბაზა, ვართ შემკვეთი ორგანიზაცია, ამიტომ, იძულებული ვართ უნგრეთში დავბეჭდოთ ჩვენი „დედა ენა", სმოლენსკში კი — საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. როგორც ამბობენ, კომენტარი ზედმეტია. საერთოდ მინდა გითხრათ, რომ ჩვენი უმთავრესი მიზანია ქართული ეროვ-



საქართველოს
ბიბლიოთეკა



ისინი ეროვნულ სკოლაში ისწავლიან

ნული სკოლის შექმნა, ამიტომ ყველას, ვინც კი ახალ პროგრამას თუ სკოლის ახალ მოდელს მოიტანს, ხელგაშლილად შევხვდებით და ყველას აზრს გავითვალისწინებთ.

ჩვენმა ეროვნულმა სკოლამ უნდა აღზარდოს თავისუფალი საქართველოს მოქალაქე — ქრისტიანი, გულმოწყალე, განათლებული, კეთილშობილი.

**— და აქვე მწვავედ დაისმება მეორე საკითხიც — კადრების მომზადების პრობლემა, რადგანაც ღირსეულ მოსწავლეს მხოლოდ ღირსეული პედაგოგი აღზრდის. ამ მხრივ ჩვენთან როგორ არის საქმე?**

— იმის მიუხედავად, რომ მრავლად არიან ღირსეული პედაგოგები, პრობლემა მაინც პრობლემად რჩება. განსაკუთრებით გვიჭირს პედაგოგებით მაღალმთიან რეგიონებში. პატრიოტობაზე ყველანი თავს ვდებთ, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, გვიჭირს კომფორტის დათმობა. ამაზე ალბათ დაფიქრებაა საჭირო. ყველამ ერთად უნდა ვეძიოთ პრობლემის გადაჭრის გზები და ამ მდგომარეობიდან გამოსავალი. ასევე გადასახედია პედაგოგიური ინსტიტუტების პრობლემები, სახელმძღვანელოები და კადრები.

**— ხშირია აღშფოთება და შეშფოთება იმის გამო, რომ მოსწავლეებს არ უნდათ სწავლა, ისინი არ დადიან გაკვეთილებზე, არ აინტერესებთ არაფერი... როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა საფუძველი ამ მოსაზრებას?**

— მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: როცა კარგი პედაგოგი ასწავლის, როცა გაკვეთილი საინტერესოა, მოსწავლე სკოლაშიც დადის, უსმენს და სწავლობს კიდეც. ეს ყოველთვის ასე ყოფილა და მომავალშიც ასე იქნება. ამიტომ, უნდა მივაღწიოთ პედაგოგთა მაქსიმალურად მაღალ დონეს, რომ ბავშვი დავაინტერესოთ და დავამაგროთ გაკვეთილზე.

ჩემი აზრით, აუცილებელია პროფილირებული სწავლება ინტერესების მიხედვით, თუმცა, ასევე აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სწავლებაც. აქამდე, სამწუხაროდ, სწავლის პროცესი მხოლოდ ინერციის ძალით მიმდინარეობდა, მხოლოდ ატესტატი ან დიპლომი იყო თვითმიზანი, ახლა კი მოვიდა დრო რომ ვიფიქროთ პროფესიონალიზმზე, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს ერს, ჩვენს სამშობლოს და მის მომავალს... ქართული ეროვნული სკოლა უპირატესად სწორედ ამ უპირველეს მიზანს და საზრუნავს მოემსახურება — განათლებული და მაღალპროფესიული კადრები აღუზარდოს მომავალ, დამოუკიდებელ საქართველოს!

ესაუბრა
ირინე კუკავა

# მანდილი გვიხმობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიკა ბარათაშვილი

ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იმ დღიდანვე დაიდო სასწორზე, როცა ზენაარმა საცხოვრისად „ქვეყნად სამოთხე“ მოგვიჩინა.

ეს ჩვენი ბედიც იყო და უბედობაც, რადგან იმ დღიდან მოყოლებული, მცირერიცხოვანი მოდგმა ქართველთა თავგანწირვით იცავს თავის „ხმელეთ-ზურმუხტს“, ცდილობს მეგობრობისა და სიყვარულის ხიდებით დაუკავშირდეს გარესამყაროს და, თავად მრავალჭირგამოვლილი, სახლისა და გულის კარს ულებს ყველას, ვისაც მისი თანადგომა და თავშესაფარი დასჭირდება.

რამდენიმე წლის წინათ, სომხეთის ქალთა ჟურნალის იუბილეზე მიწვეულმა 5 დღე ერევანში გავატარე. მის ხალხმრავალ ქუჩებში რომ სომხურის გარდა სხვა სიტყვა არ მსმენია, ერთ-ერთ სომეხ მწერალთან საუბარში აღვნიშნე. გაეღიმა: — ამას ჩვენს ქვიან, მწირ ნიადაგს უნდა ვუმადლოდეთ. თუმცა თქვენსავით სამოთხეშიც რომ ვცხოვრობდეთ, თქვენებურად ხელგაშლილი არ დავდგებოდით სომხეთის კართანო.

ახლაც თვალწინ მიდგას მისი კეთილი ღიმილი: „დიდად დავალებული ვართ თქვენგან, საქართველო ყოველთვის იყო ჩვენი თავშესაფარი, ჩვენი შემბრალე და დამცველი. მარტო იმ საშინელი გენოციდის დროს რამდენი ათასი დევნილი და დარბეული შეიფარეთ... სომხებმა რომ ეს დავივიწყოთ, ვინღა ვყოფილვართ!“

საქართველოს ისტორიული ბედუკუღმართობის, შენილბული მტერ-მოყვრისა თუ ჩვენი თავმოსაწონი სტუმართმოყვარე, გულმოწყალე ბუნების გამო (ვერც ჩვენი ზოგიერთი თანამემამულის „დამსახურებას“ გამოვრიცხავთ!), წინაპართა სისხლით მორწყულ, ნოყიერ ნიადაგზე სოკოებივით მომრავლებულ ჩვენს „და-ძმებში“ ცოტა როდი შეუპყრია უძველესი ქართული მიწების გათავისების სურვილს.

რაც შეეხება უფრო დიდი მასშტაბის ჩატარებულ აქციებს, ეს ამბავიც არ ახალია... ჩვენი „მფარველი“ რუსეთის იმპერიაც რა იმპერია იქნებოდა, რომ საფუძვლიანად არ აერ-დაერია დაპყრობილი სახელმწიფოების ეროვნული შემადგენლობა, არ შეექმნა მომავალი ეთნოკრიზისების რეალური საფუძველი.

ეს „ზრუნვა“ არც ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შეწყვეტილა, უფრო მეტიც: სხვა ეროვნების წარმომადგენელთა მიგრაციის გაძლიერებასთან ერთად, დაიწყო საქართველოს მიწა-წყლის გასაჩუქრება, ოდითგან განუყოფელ ტერიტორიაზე ავტონომიური წარმონაქმნების დაფუძნება.

ყველაფერი ეს ცნობილია, მაგრამ საჭიროა მთელი სიცხადით აღვიქვათ რეალური მდგომარეობა — ვერც მრავალშვილიანობის, ვერც მდიდარი ან ძლიერი ნათესაობის თუ კეთილი მეზობლების იმედით რომ ვერ ვიქნებით...

თითქოს დადგა დრო, როცა მოგვეცა უფლება ხმა ამოგვეღო და ჩვენს საერთო გასაჭირზე დაგვეწყო ზრუნვა, მაგრამ, როგორც კი თვითგამორკვევისა და თვითდამკვიდრების გზას დავადექით, ცნობილი ძალების გააზრებულად მოქსოვილი ეთნოკრიზისების ხლართებში აღმოვჩნდით... ბნელ ინსტიქტებსა თუ პროვოკატორთა შეგონებებს აყოლილი ჩვენი „და-ძმანი“ ყველანაირად ცდილობენ სარმა გამოსდონ ჩვენს დიდი აღმავლობით დაწყებულ საერთო მოძრაობას.

ამ ვითარებაში უდიდესი პასუხისმგებლობა გვეკისრება დიდსა და პატარას, ერსა და ბერს — ყველას, ვისთვისაც ძვირფასია მამულის ბედი.

დღეს ეროვნულმა მოძრაობამ მთელი საქართველო მოიცვა, მაგრამ როგორც წყალდიდობისას მთის კალთებიდან ჩამოხვეტილ-ჩამონარეცხი ქაფად დატრიალდება მორევის თავზე, ისე ისტორიული გარდაქმნების ჟამის შესატყვისი ეროვნული მოძრაობა არასოდეს ყოფილა დაზღვეული მინარევებისაგან. ამ პროცესმა დღესაც მკვეთრად იჩინა თავი და დიდებულად დაწყებული საქმე ლამის წვრილმან აშლილობაში და ურთიერთანგარიშსწორებაში გადაიზარდოს.

ციხე შიგნიდან გატყდებაო და თუ მეციხოვნეთ დიდი სიფხიზლე და გონიერება არ გამოიჩინეს, ჩვენი შინაური და გარეული კეთილმოსურნენი ყველაფერს ილონებენ იმ ციხის ასაღებად და დასარბევად.

მამულის მეციხოვნეობა ოდითგანვე ბედმა ქართველ ქალს კაცის თანაბრად დააკისრა. ამიტომაც დგას ქართვლის დედა ხმლით ხელში, ხალხის ნდობისა და იმედის სიმბოლოდ თბილისის თავზე ამაღლებული, დგას შვილების, მამების, ძმების, მეუღლეების გვერდით, იბრძვის და ილვწის — ცდილობს მტლად დაედოს ერის ყოველ სატკივარს.

არადა, რამდენი პრობლემაა მოსაგვარებელი, რამდენი კრიზისი გადასალახი, რამდენს სჭირდება დედის მაშველი ხელი! — უპირველესად საკუთარ ოჯახებს — არცთუ მრავალრიცხოვან შვილებს, რომელთა ნაწილს გონება დაბინდვია, ბოროტმოქმედების გზით დაქანებულა და დასაღუპად არის განწირული...

მაგრამ, განა ჩვენ, ქალები, ყველა ჩვენგანი ვდგავართ ამ მოწოდების სიმაღლეზე?

ჩვენს ქვეყანაში ათობით წლების მანძილზე მიმდინარე მატერიალური და სულიერი ცხოვრების ნგრევის პროცესი შეუძლებელია ქალსაც არ შეხებოდა. და აი, ჯერ აქა-იქ, კანტი-კუნტად, შემდგომ კი სულ უფრო შესამჩნევად იმატა საპატიმროებში ქალთა რაოდენობამ, გაჩნდა პატიმარ ქალთა კოლონიები...

კანონი ყველასათვის ერთია და მართლმსაჯულებაც ქალსა და კაცს ერთნაირად სჯის, იშვიათად ითვალისწინებს ამით გამოწვეულ სოციალურ შედეგებს — იმას, რომ მარტოხელა (და არა მხოლოდ მარტოხელა!) დედის მიერ ჩადენილ მცირე მატერიალურ დანაშაულზე მთელი სიმკაცრით რეაგირება, ხშირად ახალგაზრდა, გაცილებით უფრო საშიშ დამნაშავეთა ფორმირების მიზეზად ქცეულა. ამიტომაც ალიმაღლა ჩვენმა საზოგადოებამ ხმა მათ დასაცავად (ჟურნალისტ ნანა დავითაშვილის წერილი „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე და გაზეთის პოზიცია). „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო" და აი, საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის შეწყალების საქმეთა კომისიამ, შემოსული შუამდგომლობების მიხედვით, განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება სასამართლოების მიერ სხვადასხვა სახეობის სისხლის სამართლის დამნაშავეობისათვის მსჯავრდადებულთა საქმეებზე, რათა უმოკლეს ხანში დაეხმაროს ყველას, ვინც განთავისუფლებას თუ არა, სასჯელის შემსუბუქებას მაინც იმსახურებს. მისასალმებელია, რომ მართლაც უმოკლეს ვადაში, ვიხილეთ ამ კომისიის მუშაობის პირველი შედეგები — 82 პატიმარი ქალი უკვე დაუბრუნდა თავ-თავიანთ ოჯახებს. ამიერიდან მაინც ევლოთ სიკეთის ბედნიერი გზით!

ჩვენი ჟურნალის რედაქციაც თავისი არსებობის მანძილზე არაერთი პატიმარი ქალის ბედით დაინტერესებულა, უბრძოლია და გაუმარჯვნია კიდეც, მაგრამ ეს იყო ბრძოლა ერთეულებისთვის. მხოლოდ ამ ორი-სამი წლის წინათ მოგვეცა საშუალება ჩავრეულიყავით თბილისის ქალთა კოლონიიდან ჩრდილოეთ რუსეთში გადასასახლებლად გამზადებული მრავალი დედის ბედში და იმ დღიდან საერთოდ შეწყდა მათი გასახლება ჩვენი რესპუბლიკის გარეთ.

მაგრამ, დანაშაულიც არის და დანაშაულიც! მთელი ჩვენი საზოგადოებრიობისაგან სასტიკ შერისხვას იმსახურებს ქართველი ქალის სახელისა და ღირსების დამამცირებელი, ერის შემარცხვენელი, მისი სასიცოცხლო ინტერესების მოღალატე.

არაერთხელ აღმინიშნავს და კვლავაც სიამაყით უნდა მოვიგონო უკრაინელი პოეტი ქალის ლესია უკრაინკას იუბილეზე ამერიკიდან წვეული, ლესიას ოჯახის შთამომავლის აღტაცებით ნათქვამი: „სად არ ვყოფილვარ, მსოფლიო მოვლილი მაქვს, მაგრამ თუღა იყო სადმე რაინდების ქვეყანა, ვერ წარმომედგინა. ყოველ თქვენგანს განსაკუთრებული გაფრთხილება ესაჭიროება, რომ ეს დიდებული ერი არ გადაშენდეს".

და რა შემზარავია, როცა ეს რაინდები არცხვენენ ჯიშს, ოჯახს, ერის სახელს, დასაკლავად იმეტებენ ერთმანეთს... და რომ თანდათან მატულობს მათი რიცხვი... მით უფრო შემზარავი არიან ქალები, რომელთაც დაუკარგავთ ქართველქალური სიამაყე, დედობის მადლი და სირცხვილ-ნამუსის გრძნობა.

მისახედავი მართლაც ბევრი გვყავს, გაჭირვებული თუ გზას აცდენილი. დავეხმაროთ მათ, ვისი შველა და სასიკეთო გზაზე შემობრუნებაც შეიძლება, რამეთუ ყოვლად გამოუსწორებელნიც კი, ჩვენი დიდი საერო დანაკარგი და სატკივარია.

მისახედავი გვყავს ჩვენს ქვეყანაში თუ მის გარეთ საბჭოთა არმიის საჯარისო ნაწილებში, სავალდებულო სამხედრო სამსახურში მყოფი ჩვენი შვილებიც...

და კიდევ რამდენი მისახედავი, საშველი, მოსაწესრიგებელი საქმე გვაქვს.

სავსებით კანონზომიერია, რომ დღეს, ჩვენი ცხოვრების ძირეული გარდაქმნების აუცილებლობის ვითარებაში, ქალთა ჟურნალის თემატიკამ ფართო გავრცელება ჰპოვა ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, რაც ერთხელ კიდევ ცხადყოფს „მანდილის" პრობლემატიკის დიდ აქტუალობას. მართალია, ბევრს ვწერთ, ვლაპარაკობთ, ბევრი რამ გაკეთდა, კეთდება, მაგრამ კიდევ უფრო ბევრია გასაკეთებელი. მოუწესრიგებლობას ველარ ითმენს ქალთა შრომის, ყოფაცხოვრების, დედობის ურთულესი პირობები. ყველა იმ დაწესებულების მუშაობის ნაკლოვანებანი, რომელნიც მოწოდებულნი არიან ზრდიდნენ ჯანსაღ, განათლებულ, ბედნიერ თაობებს, ეხმარებოდნენ გაჭირვებულ ოჯახებს, ობოლ და ბედის ანაბარა მიტოვებულ ბავშვებს, უპატრონო მოხუცებს...

ყველაფერი ეს კვლავაც ჟურნალ „მანდილისა" და მთელი ქალთა საზოგადოებრიობის უპირველესი ამოცანაა.

ქალი დიდი ძალაა ოჯახში, მას შეუძლია კეთილი გავლენა იქონიოს ქმარ-შვილზე, მთავარი მიზნით შეამტკიცოს ისინი, შემტკიცებული ოჯახები კი შემტკიცებული, ძლიერი ერია.

არასდროს ყოფილა ჩვენი მამულის ბედი ყოფნა-არყოფნის სასწორზე ისე გამეტებით შეგდებული, როგორც დღეს. არც ქართველი ქალი მდგარა ქვეყნის გადასახედზე თავისი ცოდვა-მადლით ისეთი სიცხადით, როგორც დღეს!

და სწორედ დღეს, ისე, როგორც არასდროს, ქვეყნის სატკივარ-საფიქრალისაგან განზე დგომა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა არავის ეპატიება!

9 აპრილი — სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი მკერდში დაჭრილი და ძაძებით მოსილი დღე საქართველოს ამაღლების დასაწყისისა, დიდ ქართველქალურ გმირობას, სიბრძნესა და გულთამხილაობას მოითხოვს ჩვენგან — მოითხოვს, დარაჯად ვედგათ შვილთა სიცოცხლეს შინ და გარეთ.

დღეს კიდევ მეტი ძალის მოკრება და მიზანსწრაფული მოქმედება გვმართებს, რათა ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენი მამულის ყველა მტკივნეული — პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებაში, საზოგადოების სულიერი და ზნეობრივი ამაღლებისათვის ბრძოლაში; კუთვნილი ადგილი დავიმკვიდროთ საქართველოს სადღეისო და მომავალ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამჟამად უდიდეს პასუხისმგებლობას გვანიჭებს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში მონაწილეობა.

ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა საქართველოს პარლამენტში ილვწოდნენ მხოლოდ ღირსეულნი — ღირსეულთა შორის.

დღეს წარმოუდგენელია იმისი მოთხოვნა, რომ ყველა ერთი თარგით აზროვნებდეს (მადლობა ღმერთს, საჯაროდ და სამუდამოდ დავგმეთ ადამიანური ღირსების შემმუსვრელი, ერის სულიერად და ფიზიკურად დამღუპველი მსგავსი მოთხოვნები). ბუნებრივია, ოპტიმალური გზების ძიება მოგვიწევს უკვე დამოუკიდებელი საქართველოს ცხოვრების საბედნიეროდ წარმართვისათვის, დღეს კი ერთად დგომა, ერთ სხეულად შეკავშირება გვმართებს უმთავრესი მიზნის მისაღწევად.

აქეთ გვიხმობს ჩვენი ტრადიციული მანდილიც და გვავალებს გამოვიყენოთ მისი სასწაულმოქმედი ძალა ჩვენი სალოცავი საქართველოს საკეთილდღეოდ.

# ორგზის ჩემპიონი— ხუთგზის ჩემპიონის მოწაფე

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეისათვის საქართველოში შვიდი დიდოსტატი ქალია: მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილი, მსოფლიო ჩემპიონის მრავალგზის პრეტენდენტი ნანა ალექსანდრია, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე, მსოფლიო პირველობაზე უკანასკნელი მატჩის მონაწილე ნანა იოსელიანი, პრეტენდენტთა ასპარეზობის მონაწილეები: ნინო გურიელი, ქეთევან არახამია, რომელთაც სულ ახლახან ქეთევან კახიანიც შეემატა.

მსოფლიოს რომელ ქვეყანას ჰყავს ესოდენ ძლიერი მოჭადრაკე ქალები?

პასუხი ნათელია — არცერთს! ადრე თუ გვიან. როცა საქართველოს ნაკრები საერთაშორისო ოლიმპიადაზე გავა, იგი ოქროს მედლების ერთ-ერთი უპირველესი პრეტენდენტიც იქნება.

ახლა ასეთი კითხვაც — ვინ შეიძლება გახდეს მერე ქართველი დიდოსტატი ქალი?

აქ პასუხისაგან თავი შევიკავოთ, მაგრამ ის კი ვთქვათ, რომ იგი შეიძლება 16 წლის თეა ლანჩავა იყოს.

ესოდენ ახალგაზრდა თეა ამავე დროს ჩემს „ძველ ნაცნობთა“ რიცხვსაც მიეკუთვნება. იგი ჭადრაკს ხუთი წლის ასაკიდან თამაშობს. ხუთი წლის ასაკში სვლები დამოუკიდებლად, მშობლების თამაშის დროს ისწავლა და ამ დროიდან მოყოლებული, თავს მოჭადრაკედ თვლის.

მონაწილეობდა საქართველოს მოსწავლეთა ბევრ ჩემპიონატში, ბიჭებთანაც ბევრჯერ უთამაშია, განსაკუთრებით ქუთაისში სადაც ადრე ცხოვრობდა. 1987 და 1990 წლებში საქართველოს ქალთა ჩემპიონატებში თამაშობდა, რასაც თავისთვის ჩინებულ სკოლად თვლის.

თეას პირველი მასწავლებელი ცნობილი ქუთაისელი პედაგოგი და-

ვით ჩიბაძე იყო. გადიოდა დრო, იცვლებოდნენ პედაგოგები სანამ თეას ქალბატონმა ნონა გაფრინდაშვილმა არ მიაქცია ყურადღება. აი, წელიწადზე მეტია გოგონას უკვე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი ამეცადინებს. სწორედ ამიტომ დამთავრდა მათი შეხვედრა სწრაფი ყაიმით საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ტურში: მასწავლებელსა და მოწაფეს შორის არ ღირდა „ურთიერთობის გაფუჭება“!

ბოლო სამი წელიწადია თეა ლანჩავა უცვლელად მონაწილეობს გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატში, ადრე ასეთი შეჯიბრებები საერთოდ არ იმართებოდა. შემდეგ დააწესეს გოგონათა მსოფლიო პირველობა 20 წლამდე, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია, როცა ასეთი წამოწყება სრული წარმატებით დამთავრდა, მას თანდათან სხვა ასპარეზობებიც დაუმატეს: 10, 12, 14, 16, 18 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატი... ერთი სიტყვით, თუ გვარიანი საჭადრაკო ნიჭით ხარ დაჯილდოებული და ოსტატობაც მოგდგამს, შეიძლება ახალგაზრდულ წლებში მთელი მსოფლიო მოიარო. თუკი კონკრეტულად თეა ლანჩავაზე ვილაპარაკებთ, მან უკვე დაიწყო ეს „მოვლა“.

ახლა კი სჯობს თვით თეა ლანჩავას ვესაუბროთ:

— თეა, როდის დაიწყე გოგონათა მსოფლიო პირველობებში მონაწილეობა?

— ეს პირველად 1988 წელს მოხდა, თუმცა, წინასწარ, ცხადია, საგზურის მოსაპოვებლად დიდი სიძნელეების გადალახვა მომიხდა. ჯერ საჭირო იყო გოგონათა საკავშირო პირველობაში წარმატების მოპოვება, როცა ეს პირველი საფეხური წარმატებით გადავლახე, დამატებითი მატჩიც მათამაშეს როსტოველ კოვალევსკაიასთან. ეს მატჩი მოვიგე (4:2) და რუმინეთის ქალაქ ტიმიშოარში გავემგზავრე, სადაც 14 წლამდე გოგონებს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოვიპოვე.

— შარშან?

— შარშან როგორც მსოფლიო ჩემპიონი, შესარჩევი შეჯიბრებებისაგან გამათავისუფლეს. პუერტო-რიკოში უკვე 16 წლამდე გოგონებს შორის ვთამაშობდი, მეორე ადგილზე გავედი პოლონელ დომბროვსკას შემდეგ.

— წლეულს?

— ივნისში სინგაპურში ისევ 16 წლამდე გოგონების მსოფლიო ჩემპიონატში ვითამაშე. შარშანდელი გამარჯვებული დომბროვსკა კი უკვე 18 წლის გოგონებს შორის ასპარეზობდა. 11 შესაძლებლობიდან 8,5 ქულა დავაგროვე (6 პარტია მოვიგე და 5 ყაიმით დავამთავრე), ამდენივე ქულა ჰქონდა როსტოველ კოვალევსკაიასაც, მაგრამ დამატებითი მონაცემებით ჩემპიონობა მე მომენიჭა.

— რუმინეთი, პუერტო-რიკო, სინგაპური, გაისად სად ითამაშებ?

— ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის, ფიდემ მოგვიანებით უნდა გადაწყვიტოს. გამოვალ 18 წლამდე გოგონებს შორის, ოღონდ, როგორც ჩემპიონს, ყოველგვარი წინასწარი შეჯიბრებებისაგან გამათავისუფლებენ.

თეას 11 სექტემბერს 16 წელი შეუსრულდა. ვინ იცის, კიდევ რამდენ ქვეყანაში ელის მოგზაურობა, მაგრამ, ეს ხომ გასეირნება არ გახლავთ — წინ არის მოჭადრაკის რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე გზა. ვუსურვოთ ჩვენს ნიჭიერ გოგონას ახალ-ახალი წარმატებები დ მრავალი ზღუდის გადალახვა.

გივი გამრეკელი

# მიშა

კლავდია დევდარიანი

მოთხრობა

გაზაფხულის მზე ამობრწყინდა, მიდამო გააშუქა, ეზოს ყოველ კუნჭულს ნათელი დაადგა.

ყველაფერი გალამაზდა.

ღობის გასწვრივ ჩამწკრივებული ვარდები წითლად, თეთრად და ვარდისფრად ელვარდა. ისინი მამას დარგულია, მის სახსოვრად დარჩა.

მამა არ მახსოვს, კატასტროფაში მეზობელთან ერთად დაიღუპა..

თუთაც მწვანედ შეიკვირტა. კვირტები მზეს დაუსრულებლად უცინიან, იბერებიან, სიხარულით სკდებიან.

ეს დრო იყო მაშინაც, როცა ისინი თავიანთ ქვეყანაში წავიდნენ. წასვლის წინ სიტყვა დამიგდო:

— მელოდე, ორი წლის შემდეგ მოვალ, წაგიყვან, ასეთი ბედი გვარგუნა ღმერთმა.

მიშა დედასაც დაემშვიდობა:

— მაპატიე, მასწავლებელო, ამდენს რომ გალოდინებთ, სხვანაირად არ ხერხდება. ჩემი ხალხი საუკუნეობით ელოდა ამ დღეს, ბედმა ჩემს თაობას გაუღიმა, გველირსა სამშობლოში დაბრუნება. მაიკო გაამხნევეთ, ორი წლის შემდეგ მელოდეთ.

კარი გაიხურა. წავიდა.

მოგონებებმა თავი წამოყო. სკოლაში წასვლის პირველი დღე გამახსენდა.

დედამისს მიშასთვის ხელი ჩაევლო, ჩვენთან შემოვიდნენ, დედას მორცხვად სთხოვა:

— ქალბატონო ნუცა, ჩემი მიშაც გაიყოლეთ, სამსახურში დაგვიანება არ შემიძლია.

დედამ ორივენი სკოლაში წაგვიყვანა. დედა ჩვენს სკოლაში ასწავლიდა. გაკვეთილების დამთავრებამდე ორივენი ბაღში ველოდებოდით. ერთხელ მიშამ დედაჩემის ნაყიდი წიგნი „ბიძია თომას ქოხი“ ამოიღო და კითხვა დაიწყო.

აი, თომა კვდება, ახალგაზრდა ბატონი მის გამოსასყიდლად მოვიდა, უკვე გვიან არის, თომა სულთმობრძავია. მიშას ნიკაპი უკანკალებს, ველარ კითხულობს, თავი გაიმართლა:



მხატვარი ნანი შალიკაშვილი

— დავიღალე, კითხვა აღარ შემიძლია (რატომ რცხვენია ადამიანს კარგი თვისებების გამჟღავნების?)...

გუშინდელი დღესავით გაცოცხლდა — სკოლიდან შინ პირველად მარტო დაბრუნება.

მიშამ გადასასვლელი დინჯი ნაბიჯით გადაჭრა. ჩემთვის ხელი არ გაუშვია.

მიშას მამა და მამაშენი ახლო ამხანაგები იყვნენ! — მიამბო ერთხელ დედამ, — ჩვენ ერთსა და იმავე დროს დავქორწინდით. მიშას მამა ერთი უთვისტომო ობოლი იყო, მამაშენმა შეიბრალა. მერე ორივენი ერთად დაიღუპნენ კატასტროფაში.

შაბათობით მიშას დედა არაფერს არ აკეთებს, შაბათი მათი დღესასწაულია. სინაგოგაში სალოცავად დადიან.

— სჯულს არ უღალატა! — ამბობს მიშას დედა, — რწმენა ყველაფრის შემძლეა. დიდი ხნის წინათ ქართველებს მეფე ჰყავდათ, რომელმაც აღაშენა ქვეყანა ესე, მას ხალხმა აღმაშენებელი უწოდა, ჩვენ იმან დაგვრთო ნება სინაგოგა აგვეგო, გაგვეჩინა სალოცავი ჩვენი ღმერთის სადიდებლად. იმ სულგანათლებულის ბრძანებით ჩვენს უბანში ღორის გამოჩენა აკრძალული იყო, — შემოხიზნული ხალხია, ნუ გავანაწყენებთო. დიდი მეფე ყოფილა, დიდი, ნათელი დაადგა მის სულს.

დილით მიშამ მითხრა:

— სალოცავად სინაგოგაში მივდივარ.

— მე სკოლაში მივდივარ!

— ქართველებს სინაგოგა არა გაქვთ? — დედამ თქვა, ქართველები ულმერთონი გახდნენო.

მე მხრები ავიჩეჩე. სკოლისაკენ გავუხვიე. გული დამწყდა, ღმერთი რომ არ მყავდა.

საღამოს დედას ვკითხე:

— დედა, ღმერთი რატომ არა გვყავს?

— როგორ არა გვყავს, შვილო.

— სინაგოგა რომ არა გვაქვს?

— ჩვენ, შვილო, თბილისში სიონის ტაძარი გვაქვს, ის არის ჩვენი სამლოცველო.

— დედა, წამიყვანე სიონის ტაძარში.

— თბილისს ჩაგიყვან, ტაძარსაც გიჩვენებ, — დამპირდა დედა.

უეცრად ის დღე წამოტივტივდა, ახალგაზრდა მასწავლებელმა სკოლიდან ბაგრატის ტაძრის სანახავად რომ წაგვიყვანა რა ლამაზი იყო ბაგრატის ტაძრის ნანგრევები, რამსიმაღლე კედლები ჰქონდა. შევყურებდი ამ უზარმაზარ კედლებს, ვფიქრობდი, — როგორ დაჰხურეს? არ შეეშინდათ იქ ასვლა?

ტაძრის გარშემო მწვანე ბალახი ბიბინებდა. შიგადაშიგ ლურჯთვალა იები იჭყრიტებოდნენ, თითქოს გვეცინოდნენ. ბავშვები იის საკრეფად გაიფანტნენ, იები გვეღიმოდნენ, გვთხოვდნენ, შინ წაგვიყვანეთ, ყველაფერს გაგილამაზებთო.

— ხედავ, რამდენი დავკრიფე? — მიშამ იის ვეებერთელა თაიგული გამომიწოდა, — შენთვის დავკრიფე!

აბიბინებულ მინდორში ჩავსხედით, ფეხზე გავიხადეთ, თაიგულების შეკვრა დავიწყეთ, მერე დიდხანს ვირბინეთ ხასხასა ბალახში.

— ბავშვები სად არიან? — უეცრად იკითხა მიშამ და მიიხედ-მოიხედა.

— ხმა აღარ ისმის, ვაიმე! — ავტირდი.

— არ იტირო, მაკა, სირცხვილია, მოგვძებნიან! — გამამხნევა მიშამ.

— რატომ დაგვტოვეს? — კვლავ სატირლად მოვემზადე. იები მივატოვეთ, ტაძრის გარშემო დიდხანს ვირბინეთ, ყველგან სიცარიელე იყო, ადამიანის ჭაჭანება არ ჩანდა.

— რა ვქნათ? — კვლავ ავტირდი.

— წამოდი, ფეხსაცმელი ჩავიცვათ.

დიდხანს ვირბინეთ, მაგრამ ფეხსაცმელებიც ველარ ვიპოვნეთ. მე ტირილს ვუმატე. მიშასაც ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები.

სკოლაში წავიდეთ. — გამამხნევა მიშამ.

პრობლემა

# ფიქრები ბავშვებზე

როგორც ვიცით, „ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლების შექმნის შესახებ" სსრკ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის აგვისტოს დადგენილების მიხედვით ქვეყანაში [illegible] ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდა-ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ფორმის დანერგვა. ესენია: ბავშვთა დასახლებები (ქალაქები და სოფლები), ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლები და სამეურვეო ოჯახები.

ცნობილია, რომ ლისის ტბის მიდამოებში [illegible] გაიხსნება ბავშვთა სოფელი, ხოლო საწარმოო-სამეცნიერო კომბინატური გაერთიანება ეხმარება თბილისის №1 ბავშვთა სახლის ბაზაზე ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლის შესაქმნელად.

აღნიშნულ თემაზე რამდენიმე კითხვით მივმართეთ იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელს, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატს, ნანა ნატროშვილს.

**ქალბატონო ნანა, თქვენი აზრით რამდენად გამართლებულია საქართველოში ბავშვთა სოფლისა და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლის აშენება?**

— ბავშვთა სოფელსა და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლში პატარები იცხოვრებენ ოჯახებად — თითოეულ ოჯახში 6-8 ბავშვი დედობილ-მამობილთან ერთად (ავსტრიელთა მეთოდით — მხოლოდ დედობილთან, რომელიც აუცილებლად მარტოხელა ქალი უნდა იყოს). თანამედროვე ტიპობრივ ბავშვთა სახლებში კი ისინი ცხოვრობენ დიდკოლექტივებად, ყაზარმული წესით. ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით ბავშვთა სოფელი და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლები უდედმამოდ დარჩენილ ბავშვებს მისცემენ მზრუნველ დედობილ-მამობილს, ოჯახურ აღზრდას, სითბოსა და სიმყუდროვეს. ამ თვალსაზრისით ორივე მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ყოფა, ცხოვრების ორგანიზაციის ფორმათა გაუმჯობესებულ ვარიანტს წარმოადგენს, მაგრამ არა საუკეთესოს. რაციონალურ ფორმად ჩვენ სამეურვეო ოჯახს მივიჩნევთ.

**— სასურველია ჩამოგვიყალიბოთ სამეურვეო ოჯახის უპირატესობა სოციალურ-ფსიქოლოგიური და პედაგოგიური თვალსაზრისით.**

— ბავშვთა დასახლებები და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლები უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ოჯახების სხვადასხვა მასშტაბების კომპლექსებია. — ბავშვთა დასახლება ამგვარ ოჯახთა უფრო დიდი თავმოყრაა, ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი კი — შედარებით მცირე ზომისა. ჩვენი აზრით, ორივე მათგანი ჩვეულებრივი საზოგადოებისაგან ერთგვარი გამიჯვნა-იზოლაციაა, რაც აღსაზრდელებში სოციალური დეპრივაციის განვითარების საშიშროებას ქმნის.

სამეურვეო ოჯახები კი (დედობილ-მამობილი სამამდე საკუთარი შვილითა და 5 სამეურვეო აყვანილი ბავშვით) ცხოვრობენ ერთმანეთისაგან განცალკევებულად, ჩვეულებრივი ოჯახების გვერდით, რაც მათთან თანაარსებობის, თანაქმედების, მიბაძვის, თანამშრომლობისა და სხვა სოციალური ურთიერთობების შესაძლებლობას იძლევა. ეს ბავშვებში სოციალურ დეპრივაციის მოხსნის რეალურ საწინდარს ქმნის. ამასთან, სამეურვეო ოჯახი თავისუფალია ყოველგვარი ადმინისტრაციული ელემენტისაგან. მაშინ, როცა ბავშვთა დასახლება და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი აუცილებლად გულისხმობს ადმინისტრაციის არსებობას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იქ მცხოვრებ ოჯახთა ხელოვნურობას და აღსაზრდელებს გარკვეულწილად უქმნის ჩვეულებრივი ოჯახების შვილთაგან განსხვავებულობის კომპლექსს.

ამგვარად, პრინციპის დაცვა — მაქსიმალურად მივუახლოვოთ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა ოჯახები ნამდვილ, ჩვეულებრივ ოჯახებს, — ყველაზე უფრო რეალურია სამეურვეო ოჯახის პირობებში. ჩვენი აზრით, მომავალი სამეურვეო ოჯახებს ეკუთვნის. მათ პერსპექტიულობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ამგვარ ოჯახთა რაოდენობა სწრაფად იზრდება საბჭოთა კავშირშიც, ხოლო პოლონეთში მათი რიცხვი 36 ათასს აღემატება.

**— რადგან ბავშვთა სოფელი და ოჯახური ტიპის ბავშვთა სახლი მაინც შენდება, იქ მცხოვრებ ბავშვთათვის იქნებ უმჯობესი იყოს, რომ ამ ოჯახებს ჩამოვაშოროთ ადმინისტრაციული „აზრი"?**

— რასაკვირველია. ამ ოჯახებს შეძლებისდაგვარად უნდა ჩამოვაშოროთ ადმინისტრაციული [illegible] ცია სოფლის თუ [illegible] ბავშვთა სახლის [illegible] მდებარეობდეს. მათი წარმომადგენლები ბავშვთა ოჯახებს დედობილ-მამობილთან [illegible] რულ. უფრო [illegible] სიით უნდა [illegible], მათი ვიზიტები ბავშვთა ოჯახებში, კონტროლისა თუ დახმარების მიზნით, პატარებს უნდა უქმნიდეს დედობილ-მამობილის მეგობართა თუ ოჯახის ნათესავთა სტუმრობის შთაბეჭდილებას. ეგრეთ წოდებული სათადარიგო ოჯახების წარმომადგენლებისადმი, რომლებიც ბავშვთა ოჯახების დედობილ-მამობილებს შვებულებაში ყოფნის დროს ან ავადმყოფობის დროს შეცვლიან, პატარებს უნდა გამოუმუშავდეთ ოჯახის მოკეთისადმი დამოკიდებულება (სასურველია არ ხდებოდეს პრესისა თუ ტელევიზიის საშუალებით ბავშვთა ოჯახების აღზრდათა ფართო საზოგადოებისათვის წარდგენა: ეს კიდევ უფრო გაუძლიერებს ცხოვრებისაგან ტრავმირებულ პატარებს ჩვეულებრივი ოჯახების ბავშვებისაგან განსხვავებულობის კომპლექსს, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში [illegible] ბოდეს).

**— [illegible] სასურველი [illegible]?**

— უპრიანი იქნებოდა დღევანდელი პლურალიზმის პირობებში საქართველოში 5-6 სამეურვეო ოჯახის შექმნა, სადაც აღსაზრდელად თავდაპირველად განაწილდებოდნენ სრულიად ობოლი ბავშვები. ეს მთლიანად გადაჭრიდა ობოლთა ოჯახური აღზრდის პრობლემას, რამეთუ რესპუბლიკის ბავშვთა სახლებში მათი რიცხვი დღეისათვის 60-ს არ აღემატება.

ესაუბრა
**ნაზი თარგამაძე**

[illegible]

ჩვენი მკურნალი

# როცა სოფელი მადლიერია



რუსუდან ჭეიშვილი თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ თეთრიწყაროს რაიონის ბარდუბნის საექიმო ამბულატორიაში მივიდა. ათ წელიწადზე მეტი გავიდა იმ დღიდან. სიძნელეები გამოიარა ახალგაზრდამ თავგანწირულმა ექიმმა სოფელში მუშაობისას — გაურემონტებელი, ზამთარში ცივი ამბულატორიის შენობა, ფეხით სიარული მარა-შეკვეთში — თოვლსა და ქარში, მზესა და წვიმაში; სიცხით გათანგულ ავადმყოფთანაც უთევია ღამე და ჩვილის აკვანთანაც ჩაუხედავს სიკვდილისათვის თვალებში. ხან ქირურგი ყოფილა, ხან გინეკოლოგი, ხანაც ნევროპათოლოგი და ყველა სიძნელე უშიშრად, ნებისყოფით, პროფესიული ცოდნით დაუმარცხებია.

ორი ათასი კაცი ცხოვრობს ბარდუბანში. ყველასთვის ძვირფასი და მახლობელია სოფლის ახალგაზრდა ექიმი. ოჯახი არ არის დარჩენილი, რუსუდან ექიმი რომ არ მისულიყოს, მათი ტკივილისთვის არ ეწამოს, იმედიანი სიტყვა არ ეთქვა. ექიმს უყვარს ავადმყოფის მოსმენა, იგი გულისხმიერი და ყურადღებიანია. დღე არ გავა ამბულატორიაში ათი-თხუთმეტი პაციენტი არ შემოვიდეს, მოდიან სხვა სოფლებიდანაც. სამამულო ომის ინვალიდს (ასეთი კი სამ ათეულზე მეტია სოფელში) ექიმი განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობა, ცდილობს ამ განსაცდელგამოვლილ ხალხს ჯანმრთელობა შეუნარჩუნოს, სიცოცხლე გაუხანგრძლივოს.

სოფელში საშუალო, არასრული სასწავლებლები და საბავშვო-ბაღია. თითოეული ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას ზეპირად იცის — ასე ამბობენ რუსუდან ექიმზე. ბავშვებში ბოლო სამი წელიწადია ინფექციური დაავადების ან სიკვდილიანობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა. დროულად უცრიან პატარებს.

ერთ წლამდე ასაკის 24 ბავშვს ითვლიან სოფელში. მალე მათ კიდევ 22 ახალი სიცოცხლე შეემატება.

ისე თვე არ გავა 3 ფეხმძიმე ქალი არ ავიყვანოთ აღრიცხვაზე, — ამბობს რუსუდანი. — რეპროდუქციის ასაკის 258 ქალი გვყავს. საქართველოს მომავალი ხომ შვილთა სიმრავლეშია. დემოგრაფიული პრობლემა ჩვენს სოფელსაც აწუხებს. ბერდება სოფელი. სამი-და მეტშვილიანი მხოლოდ 86 ოჯახია. მძიმე ფერმაში დასაქმებული ქალის შრომა. არც ერთხელ არ გაქრილა ზოონოზური დაავადებათა შემთხვევა. შხამქიმიკატებთან მომუშავეებს რეგულარულად ამოწმებენ რაიონში.

ვინ იცის, კიდევ რას არ აკეთებს რუსუდან ექიმი — დონორობა იქნება ეს (28 მუდმივი დონორი ჰყავთ, თავადაც და ფერშლებიც დონორები არიან) თუ სოფლის სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა, ამბროზიის წინააღმდეგ ბრძოლა თუ ამბულატორიის რემონტი, უპირველესად — საკუთარი ოჯახი. რუსუდანი ერთგული მეუღლე და ორი ქალიშვილის მოსიყვარულე, მზრუნველი დედაა. ამ ახალგაზრდა ქალის ძალა მის შრომისმოყვარეობაშია, მაღალ პროფესიონალიზმშია. აი, რას ამბობენ მასზე მადლიერი პაციენტები:

**შოთა გველესიანი**, სამამულო ომის ინვალიდი. — უკეთესი ექიმი სო-

ფელს ჯერ არც ჰყოლია. მან თავისი საქმე ჩინებულად იცის, დიდ ყურადღებას გვაქცევს ომის ვეტერანებს;

**ლეილა ჩხიკვაძე**, კოლმეურნე. — მე ზედა სიმონეთში ვცხოვრობ. მესმოდა რუსუდან ექიმის ქება. მოხიბლული ვარ მისი გულისხმიერებითა და ყურადღებით. მისთვის ალალი ყოფილა ხალხის სიყვარული;

**მიხეილ ვარდოსანიძე**, მექანიზატორი. — მთელი სოფელი კმაყოფილია ჩვენი ექიმით. იცის ავადმყოფის მოსმენა, დაუღალავია, იმედიანი სიტყვით მოარჩენს კაცს. დიაგნოზი არასოდეს გამტყუნებია...

ბარდუბნის სამედიცინო ამბულატორია მთელს რაიონში სამაგალითოა. რუსუდან ჭეიშვილი ცნობილი ექიმთაგანია, — გვითხრა რაისაავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანების მთავარმა ექიმმა დარეჯან ჯაფარიძემ. დაჯილდოებულია ექიმის საუკეთესო თვისებებით — საქმისათვის თავდადებულია და ნიჭიერი. ახლახან შევუკეთეთ ამბულატორიის შენობა. ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება სადმე ასეთი შეთანხმებული კოლექტივი, ეს განაპირობებს კიდეც მათ ნაყოფიერ მუშაობას.

ამბულატორიის პატარა კოლექტივმა, მართლაც რომ საერთო მცდელობით, მოიპოვა სოფლის მადლიერება. ექიმი მარტოდმარტო ვერაფერს გახდებოდა, რომ არა ფერშლებისა და მედდების ენერგიული შრომა. რუსუდან ექიმს ერთგულად უდგანან მხარში უბნის ფერშალი ლამარა ნიკოლეიშვილი, ბებია-ფერშალი ელენე ბარათაშვილი, ბავშვთა მომსახურების მედდები — ციალა ყიფიანი და ნატო ბასილაძე, სანიტარი ლილი ცხადაძე. ამბულატორიას ჰყავს სტომატოლოგი — აგრაფინა ცოტაძე. ამ კოლექტივის ღირსებას რამდენადმე ისიც ამაღლებს თუ რა დიდი სიყვარულითა და მოწიწებით იხსენიებენ აქ ადრე მომუშავე ექიმებსა და ექთნებს. გენო და რიტა ქართველიშვილებს, აწ განსვენებულ ექიმ ერმი ქართველიშვილს, კოლია ბარდაველიძეს, პროვიზორ აბესალომ ღვინეფაძეს, მედდებს ბაბო ყლენტს, სონია გვენეტაძესა და შურა ჩარკვიანს.

ბარდუბნის ამბულატორიაზე ხუმრობით ამბობენ: პატარა ეროვნული შტაბიაო. ექიმი და ექთნები ერთად განიცდიან საქართველოს ყველა ჭირსა და ლხინს. ერთად გამოიტირეს 9 აპრილს დაღუპული მამულიშვილები, თვალყურს ადევნებენ ეროვნული მოძრაობის მიმდინარეობას, დავობენ, კამათობენ.

სასიამოვნო მოსაუბრე გამოდგა რუსუდან ექიმი. მის ფაქიზ გარეგნობას, საოცარ მომხიბვლელობას სძენს ცოცხალი თვალები, დინჯი, გონივრული საუბარი, სიამოვნებით უპასუხებს კითხვებს, იგონებს გასულ წლებს, პირველ სიძნელეებს ახლანდელ პრობლემებს.

— პრობლემები ბევრი გვაქვს. ბარდუბანი მთაგორიანი სოფელია. ტრანსპორტი არა გვყავს. რამდენიმე სოფელს მაინც რომ გამოგვიყოფდნენ ერთ მანქანას, შრომაც შეგვიმსუბუქდებოდა და ავადმყოფებსაც უკეთ დავეხმარებოდით ბინაზე. საკმაოდ არ გვაქვს სამედიცინო აპარატურა, რომელიც გაგვიადვილებდა სწორი დიაგნოზის დასმას. სოფლელ კაცს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა ადგილზე გაიკეთოს სამედიცინო მარტივი ანალიზი. სპეციალისტი გვყავს, არა გვაქვს შესაფერი მოწყობილობა, არც კარდიოგრაფი. გვეხმარება რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, მაგრამ განა ბევრი შეუძლია მას? სასოფლო საბჭოს კი არც სახსრები აქვს მათი შეძენისათვის და არც ხელი მიუწვდება.

— გულს რა მტკენს? ხშირად გაიგონებთ ჩივილს სოფლის ექიმს დაბალი კვალიფიკაცია აქვსო. რატომ იმაზე არაფერს ამბობენ, სოფლის ექიმობა რომ განსაკუთრებით ძნელია? ფართოპროფილიანი გეგმითგათვალისწინებული კვალიფიკაციის ამაღლება, ბევრს ვერაფერს გვაძლევს. უნდა გვქონდეს დრო, რომ ვიმუშაოთ სამედიცინო ლიტერატურაზე. ჩვენ კი წაგვლეკა გაუთავებელი ფორმების შევსებამ. ამ „მწერლობას“ მიაქვს უამრავი დრო. ექიმი მხოლოდ ავადმყოფის ისტორიას უნდა ავსებდეს.

— მიყვარს თეატრი, ყოველნაირი ჟანრის კარგი მუსიკა, მიყვარს წიგნების კითხვა. ამ ბოლო დროს განსაკუთრებით გამიტაცა ისტორიულმა ლიტერატურამ.

— ჩემში რა არ მომწონს და... როგორც საჭიროა ვერ ვმუშაობ საკუთარ თავზე.

— უკვე წასვლაზე არც ვფიქრობ. კარგა ხანია შემეძლო ქუთაისში დამეწყო მუშაობა, მაგრამ, შევეჩვიე აქაურობას. ხალხის სიყვარულიც განსაზღვრავს აქ ჩემს საქმიანობას, ვგრძნობ, რომ მათ ვჭირდები. ნურავინ ჩამითვლის ამ სიტყვებს ყალბ პათეტიკად.

ექიმის სიტყვების დასტურია სოფლის მადლიერება, რომელიც მხნეობას მატებს ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე მდგარ მშვენიერ მანდილოსანს.

**თამარ ბარათაშვილი**

# პოეზია

## წამო

**„წამო ბეთანიისაკენ“**

*გალაკტიონი*

წამო, დავესახლოთ ბეთანიას,
ცისფერ ენძელათა საუფლოს,
წამო, დავესახლოთ ბეთანიას,
სადაც მზე უფალთან საუბრობს.

აქ მიწის სურნელით გავბრუვდეთ,
აქ უფრო ლამაზია საწუთრო,
წამო, დავესახლოთ ბეთანიას,
ცისფერ ოცნებათა საუფლოს.

## შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო...

**სიმონ ჩიქოვანის ხსოვნას**

შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო,
აბაშის ქალის ლურჯო საბანო...
შენ, ჩიქოვანის ლექსის ტაეპო,
გულის გამპობო, ნაუკვდავებო...
შენ, ჩიქოვანის ლექსის გადიავ,
წელიწადები ისევ გადიან...
თუ ჩიქოვანის ეჭებ დაისებს,
ლექსო, ფრთას ისევ გაიმაისებ.
შენ, ჩიქოვანის ცრემლით ნაბანო,
აბაშის ქალის ლურჯო საბანო...
რა ზეციური ფრთები გაწამებს,
თუმც წუთისოფლის ბრუნავს
ბორბალი
შენ, ჩიქოვანის ლექსის წამწამებს,
ნანას უმღერდი ცრემლით
მობანილს...
შენ, ჩიქოვანის წრფელო ოცნებავ,
გულზე მალამოდ ლექსის მოცხებავ...
აბაშის მიწავ — მიწავ საკირევ —
და გადმომსკდარო ლექსო,
ნაპირებს...
ამღერებულო მინდვრად ჯეჯილო,
თვალი მზისაკენ მარად გეჭიროს...
აბაშის ქალის ლურჯო სალამოვ,
დაუსაწყისო... დაუსაბამო!..



* * *

უთქმელი სევდით განაბზარები
რეკენ ზარები, —
ჩემი სულის რეკენ ზარები.
რად მეძალები,
რად მეძალები,
რად მეძალები...
აპრილის თვეო, —
მოაფინე მთებზე ლალები.
აპრილის თვეო, —
მომახვიე ლურჯი ქარები
აპრილის თვეო, —
დამიმტვრიე გულის კარები,
გადამავიწყე
სისხლის წვიმები,
აპრილის თვეო, —
ამიწითლე მზეზე წვივები...
კივის აპრილი, —
სულში ცეცხლად ჩანაშუქები,
კვირტში კივიან ალუბლები და
ალუჩები,
წაჰკიდებიათ ჩაუქრობი ატმებს
ხანძარი
და ჩასაცემად გულისაკენ იწევს
ხანჯალი,
აპრილის თვეო, მთვარეო, რად ხარ
არჯალი?
უთქმელი სევდით განაბზარები,
რეკენ ზარები,
ჩემი სულის რეკენ ზარები.

* * *

ცა რის ფერია ნეტავი,
ან ქნარი რაღას მიამბობს,
ზედაზნის დაშლილ ციხეზე
ჩემი სანთლები კიაფობს.

შენთვის ავანთე წყვილადა,
რომ დაგნათოდეს ღვთის სახე,
ზედაზნის დაშლილ ციხეზე.
პირჯვარი გადავისახე.

პირჯვარი გადავისახე
დაგინთე წყვილი სანთელი,
ზედაზნის ციხის ქონგურზე,
დგას შენი ლურჯი ნათელი.

ოღონდაც შენთან მამყოფა,
და შენი ზეცა მფარავდეს,
ამ დაშლილ ციხის ნანგრევთან
დავსახლდებოდი მარადის.

რა დარდებია, მიხედე,
გული ნეტავ რას გიამბობს,
ზედაზნის დაშლილ ციხეზე
ჩემი ოცნება კიაფობს.

ჩუ, ფეხაკრეფით იარე,
ნუ შეაშფოთებ მძინართა,
ზედაზნის მთაზე ოდესღაც,
ვრცელი ნათელი ბრწყინავდა.

ციხის სატკივარს გიამბობ,
რომ მუდამ კარით-კარამდე,
ბრწყინავდეს ჩემი მამული,
ზედაზნის მადლი ფარავდეს.

## გახსენება

რუსთაველის ძეგლთან მოდი და
დამელოდეო, მითხარ.
იქნებ ლოდინით დაგღალე,
ფიქრმა გასტანა დიდხანს.

იქნებ შემდეგაც გახსოვდი,
მომიგონებდი, ალბათ.
იქნებ საუბარს ნატრობდი,
მომატყუაო. ქალმა.

მე კი, უბრალო შემთხვევამ,
ჩამომარჩინა გზაში,
და სულ უბრალო მიზეზით,
დამაგვიანდა მაშინ.

ფერი ეკარგვით იელებს,
ჩაქრა მოცხარი, მოცვი,
როდესაც ვინმეს მიელი,
დრო აღარ არის მოცდის,

მიფრინავს ჩვენი ცხოვრება,
ფაფარაშლილი რაში,
და სულ უბრალო შემთხვევით,
გვაგვიანდება გზაში.

ცხოვრების მატარებელი
სულ ერთი ფეხით გვისწრებს,
ბედნიერების ფრთოსნები...
სულ მიფრინავენ მზისკენ...

და ცხვირწინ მყოფი სიკეთე
მიუწვდომელი ხდება,
და სიხარული ხელიდან,
ოქროს თევზივით სხლტება.

ხომ ასე გვაგვიანდება,
გვეჩქარებოდეს, რაიც,
ერთმანეთს დაგვიანებას
აღარ ვპატიობთ მაინც.

ვფიქრობ სათქმელი ვერა ვთქვი,
სულ სხვა რამის თქმა მსურდა,
სადაც ვიჩქარით, სწორედ იქ,
გვაგვიანდება მუდამ.

მიფრინავს ჩვენი ცხოვრება,
ფაფარაშლილი რაში,
და სულ უბრალო შემთხვევით
გვაგვიანდება გზაში...

# და მიჭირს და მიყვარს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა რაიონია ყვარელი, კეთილმოუწყობელი. უძრაობის წლებმა (უფრო სწორად, უკუსვლის წლებმა) თავისი დაღი დაასვა ბუნების სილამაზით უხვად მომადლებულ, დიდი ილიას სამშობლო კუთხეს, ფართოდ გაშლილი ზვრებისა და დურუჯის ლამაზი ხეობის მხარეს.

ახალგაზრდობა ნელ-ნელა ქალაქს გაიკრიფა, სოფლებს და თვით რაიონულ ცენტრსაც ძირითადში ასაკოვანი ხალხი შემორჩა. ერთ დროს ახმაურებული ჭავჭავაძის ქუჩა — ყვარლის ცენტრი, — მიჩუმდა, გამვლელ-გამომვლელი თითზე ჩამოსათვლელი გახდა.

ალბათ, ამითაც იყო ნაკარნახევი, ყვარელში ტრიკოტაჟის საწარმოო გაერთიანება „გლდანის" ფილიალის გახსნა. ახალგაზრდები უნდა მიეზიდა საწარმოს, დაესაქმებინა და რაიონიდან წასვლა გადაეფიქრებინებინა. თითქმის სამასამდე ქალი მუშაობს ამჟამად ფილიალში. ეს კი რაიონისათვის ძალზე ცოტაა. დაუსაქმებელი დიასახლისები, რომლებსაც შეუძლიათ დოვლათის შექმნა, რაიონში ჯერ კიდევ ბევრნი არიან.

* * *

ტრიკოტაჟის გაერთიანება „გლდანის" ფილიალს თამარ ნაზრიშვილი ხელმძღვანელობს. დირექტორის შეფასების კრიტერიუმი ყოველთვის იყო და იქნება მუშათა კოლექტივის აზრი, ის, თუ რას ფიქრობენ მუშები თავიანთ ხელმძღვანელზე, როგორ იწონებენ მის გადაწყვეტილებებს. უნდა ითქვას, ამ მხრივ თ. ნაზრიშვილი კოლექტივის პატივისცემით „განებივრებული" ხელმძღვანელია.

არასტანდარტული, ფაბრიკისთვის შეუფერებელი შენობა როგორღაც მიუსადაგეს საამქროებს, საკერავი მანქანები, დანადგარები, კონვეიერი გამართეს და თითქოს მიამსგავსეს საწარმოს.

— მანქანა-დანადგართა პარკი მოძველებულია, — მაცნობს სამკერვალო საამქროს დირექტორი, — ყოჩაღი ქალები გვყავს. შეგვეძლო შეკერილზე რაიმე დეტალის, ნაქარგის დამატება, ამის საშუალებას მანქანები არ იძლევა. ერთი იმედი გვაქვს, თუ „გლდანი" მოდელურ სამუშაოზე გადავა, მაშინ მანქანებს ჩვენ გამოგვიგზავნიან, ეს კი საშუალებას მოგვცემს, ჯერ ერთი — გავაუმჯობესოთ შეკერილი პროდუქციის ხარისხი და მეორეც — მომუშავე ქალებმა შემოქმედებითი ნიჭი გამოავლინონ.

დღეს საწარმოში საშუალო ხელფასი 250-300 მანეთია. თუ დღევანდელი გაძვირებული ცხოვრებისა და მოშლილი ფასების თვალსაზრისით შევხედავთ, ეს თანხა საკმაოდ დაბალია, უფრო სწორად, იმდენია, ადამიანს საარსებოდ რომ ეყოს. როგორც თამარმა ამიხსნა, ნორმები გადასასინჯი, რაც, რატომღაც, გვიანდება; მაგრამ დაბალ ხელფასებს ხელი არ შეუშლია ქალებისათვის სომხეთში დატრიალებული უბედურების ჟამს დახმარება გაეწია უსახლკაროდ დარჩენილთათვის.

— ჩვენს ხალხს კეთილი, თბილი გული აქვს, — იხსენებს დირექტორი. — ნეტავ გენახათ, შინიდან რა აღარ მოჰქონდათ: თეთრეული, ჩასაცმელი, საზამთროდ მომზადებული კონსერვები, კომპოტები, მურაბები. ჯავახეთს ჩასახლებულ აჭარლებსაც 2500 მანეთით დავეხმარეთ.

* * *

საამქროში საკერავი მანქანების მონოტონური ხმაურია. თავჩაღუნული ქალები თვალის კიდით ამჩნევენ უცხოს, მზერას მაინც არ აცილებენ გვირისტს და შეფარვით ცდილობენ შეათვალიერონ მოსულნი.

მანანა სეფაშვილსაც არ ეცალა ჩემთან სასაუბროდ. ხელების გაწაფული მოძრაობა არც შეუჩერებია, ისე გამომეპასუხა.

ყვარლელია მანანა და აქედან წასვლას არსადაც არ აპირებს, უკვე თერთმეტი წელიწადია, აქ მუშაობს, მოწინავეობისათვის ორი ქების სიგელი მიუღია. მას, როგორც ყველა ყვარლელს, აწუხებს ის მოუწყობლობა, რაც რაიონში იგრძნობა. თეატრი, რომელსაც რამდენიმე ათეულ წელიწადს აშენებდნენ, არასწორად აგებული აღმოჩნდა, რამდენიმე ხანს მოქმედებდა მხოლოდ, შემდეგ სანახევროდ დაანგრიეს და ისევ თავიდან იწყეს შენება, (ალბათ, უახლოეს ათ წელიწადშიც ვერ დაასრულებენ). კინოთეატრში შარშან დანადგარის უქონლობის გამო ფილმებს არ უჩვენებდნენ. წლეულს, როგორც იქნა დაიწყეს ფილმების ჩვენება, მაგრამ მარტო კინოსურათი ხომ არ არის კულტურული ცხოვრების გამსაზღვრელი? კლუბი, თუნდაც უბრალოდ, ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი, რაიონში არ არის. აი, ამიტომ გული არ უჩერდებათ გოგო-ბიჭებს და სკოლის დამთავრებისთანავე ქალაქში ჩასვლას ეშურებიან.

ყვარლის ფილიაში მკერავ ქალებს ბუფეტი არა აქვთ. ან შინ დადიან შესვენებაზე, ან თან წამოღებულ მშრალ საუზმეს შეექცევიან.

მათ ბინის პრობლემაც აწუხებთ. დღეისთვის 42 მუშა-მოსამსახურეა აღრიცხვაზე. გაერთიანება „გლდანმა" იკისრა ბინების მშენებლობისთვის თანხის გადარიცხვა. საბოლოო გადამწყვეტი სიტყვა ადგილობრივ ხელისუფლებას ეკუთვნის, დრო არ ითმენს, მეტი დაყოვნება აღარ შეიძლება!

ბინათმშენებლობის სახსრების გარდა, გაერთიანება „გლდანმა" ყვარლის რაიონს 100 ათასი მანეთი ჩაურიცხა თეატრის მშენებლობისათვის, დაახლოებით ამდენივე თანხას შეაწევს რაიონის რუსთაველის საზოგადოებასაც.

რაიონის რუსთაველის საზოგადოებასთან შეიქმნა საქველმოქმედო განყოფილება, რომელსაც ფილიალის დირექტორი თამარ ნაზრიშვილი ხელმძღვანელობს.

— მრავალშვილიან ოჯახებს ყველაზე მეტად უჭირთ, — გვეუბნება ქალბატონი თამარი, — ბანკში საკუთარი ანგარიში გავხსენით, ვისაც რა თანხა შეუძლია, იმდენს გადმოგვირიცხავს. ჩვენთან, წარმოებაში ხუთი შვილის დედა მუშაობს, ყოველწლიურად ვუძენთ საგზურს და დასასვენებლად ვაგზავნით. პროფკავშირი მატერიალურ დახმარებას უწევს, ახლა საქველმოქმედო განყოფილებაც იზრუნებს მათზე.



ბრიგადირი ნინელი ცქვიტიშვილი (მარჯვნივ) და მკერავი გულო იორამიშვილი



მე-2 ბრიგადის წევრები: ნანა ბურკიაშვილი (შუაში), ციცინო ცულიკაშვილი და ია ჩექმაძე



მომღერალ ქალთა გუნდი

გაერთიანება „გლდანი" თავის ფილიალში მომუშავე ახალდაქორწინებულებს ერთდროულად 1000-1500 მანეთს აძლევს. ყვარლელებისათვის ეწყობა ექსკურსიები, ტყუილად არ მითხრეს ქალებმა: მთელი საქართველო მოვიარეთო; ვარძია და ბეთანია, გელათი და ნიკორწმინდა — თითქმის ყველა ტაძარი, ყველა ისტორიული ძეგლი მოინახულეს საწარმოს მშრომელებმა.

ფილიალთან არსებული მომღერალთა გუნდი, რომელსაც ციცინო ახალაური ხელმძღვანელობს, მარტო რაიონში როდია პოპულარული, უნგრეთში ხალხური სიმღერების საუკეთესოდ შესრულებისათვის ჯილდოც დაიმსახურა.

* * *

ფილიალში რვა ბრიგადა სამეურნეო ანგარიშით მუშაობს. შრომაში განსაკუთრებით გამოირჩევა ნინელი ცქვიტიშვილის ბრიგადა — 40 ათასი მანეთის პროდუქციას ამზადებს.

კარგად კერავენ ლელა მაისაშვილი, შუქურა მზექალაშვილი, მანანა სეფაშვილი, ლილი ბუხაიძე, ლენა გრძელიშვილი, მზია ავაზაშვილი, ტასიკო ჟამუტაშვილი, სულ ოცდაოთხი ქალია ბრიგადაში, ვერცერთს ვერ უნახავთ წუნს.

ქალებთან საუბარში ერთი მძლავრი, მთავარი ხაზი გამოიკვეთა — საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა მუშებმა და გლეხებმა უნდა მოიპოვონ, როცა გლეხი თავისი მიწის ნამდვილი ბატონ-პატრონი გახდება, როცა ინსტრუქციები და განკარგულებები აღარ შეუზღუდავს ხელ-ფეხს, როდის სად რა დათესოს და მოიწიოს, როცა თავის კუთვნილ მიწას თვითონ დაამუშავებს, ბაზარში პროდუქტების სიუხვე გაჩნდება, მუშათა კლასსაც იმედი ექნება, რომ სხვაზე დამოკიდებული აღარ ვიქნებითო.

...საწარმოდან წამოსვლისას ერთ კურიოზს შევესწარი. დაცვის უფროსმა გ. ჭერაშვილმა რაღაც ქაღალდები გადაფურცლა და თავისთვის ჩაილაპარაკა.

— კაცო, ამისთანა რამე გაგიგიათ, გინდა თუ არა, ქურდი უნდა დაიჭიროთო და გეგმასაც მაძლევენ, თუ არ იპარავენ, ვინ ან როგორ დავიჭირო, გაგონილა?!

მართლაც, დროა ასეთ „გეგმებს" ბოლო მოეღოს!

თამარ დემეტრაშვილი



საქართველოს
[illegible]
ბიბლიოთეკა

# თეატრი მისი საფიცარია

„თეატრს აქვს ისეთი მომხიბლავი საიდუმლოება, ისეთი ძალა, რომელიც არცერთ სხვა ხელოვნებას არა აქვს", — ბრძანებს კოტე მარჯანიშვილი.

დიდი რეჟისორის ეს გამონათქვამი იმასაც გულისხმობს, რომ ადამიანი მსახიობად უნდა დაიბადოს, რომ იგი თანდაყოლილი ნიჭის გარეშე კარგ პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდება.

სწორედ რომ მსახიობად არის დაბადებული ყველა ქართველისათვის საყვარელი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლეილა შოთაძე.

მისი თანაკურსელი ვარ და მახსოვს პირველი შთაბეჭდილება, თუ როგორ გავიცანი ლეილა თეატრალურ ინსტიტუტში მისაღები გამოცდების დროს.

ახლად სკოლადამთავრებულნი გაუბედავად და მორიდებით ვაწყდებით ინსტიტუტის მძიმე კარებს. თეთრი, ფართო მარმარილოს კიბეები თითქოს შუქს გვაფრქვევს, ბედს გვხვევს და ჩუმი ალერსით აჰყავართ მესამე სართულზე. „ვაი, თუ ჩავიჭრა", ეს აზრი თითოეულ აბიტურიენტს აშფოთებს. ძალაუნებურად სერიოზული სახეებით და ერთმანეთის შეფარვით ვათვალიერებთ. მისაღები გამოცდები დამთავრდა და აი, საბოლოო სიაში მიღებულთა შორის ერთი გოგონა გამოირჩევა: თხელი, ფერმკრთალი, მბრწყინავი, ღია ფერის ხვეული თმებით, ღიმილითა და ცნობისმოყვარეობით სავსე თვალებით. ეს ლეილა შოთაძეა.

დაიწყო სტუდენტობის ბედნიერი ხანა. ლეილამ ამხანაგებში მაშინვე მოიპოვა ყურადღება. ჯანსაღი იუმორით და ხუმრობით გვიყვებოდა ვინმეზე რაიმე ამბავს, ყოველივე ამას აუცილებლად სახეებში წარმოგვიდგენდა, კილოს, ინტონაციას, მოძრაობასაც შესაფერისს შეურჩევდა და სიცილით დაგვაოსებდა ხოლმე. ხალისიანი, გულკეთილი და დაუზარელი იყო,



„სიმშვიდის რაინდები". მეგი — ლეილა შოთაძე

ხოლო სწავლაში სერიოზული, განსაკუთრებით სპეციალობაში. დამთავრდა სტუდენტობის ლამაზი წლები და ჩვენც დაგვილოცეს მომავალი ახალი გზა.

ცნობილმა რეჟისორმა არჩილ ჩხარტიშვილმა, რომელიც ინსტიტუტის საკურსო სპექტაკლებს ხშირად ესწრებოდა, მაშინვე შეამჩნია ლეილას მაღალნიჭიერება და როგორც მარჯანიშვილის თეატრის ხელმძღვანელმა, თავის დასში ჩარიცხა. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ლეილას, სპექტაკლებში: „ხევი ზუზუერიდ კლდებიან", „მედეა", „ბაბთიანი გოგონა", „ლუბოვ იაროვაია" და სხვა, სცენის დიდი კორიფეების გვერდით უხდება გამოსვლა. სულ მალე იგი ყურადღებას იქცევს, როგორც მოაზროვნე მსახიობი, ძლიერი ემოციის გამომხატველი, დამაჯერებელი თავის განცდებსა და სიმართლეში.

ქართულ თეატრალურ ცხოვრებაში სიახლეა — ქ. რუსთავში ქართული სახელმწიფო თეატრის შექმნა. ლეილა უყოყმანოდ შეუერთდა ახალგაზრდა თანამოაზრეთა ჯგუფს, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და რეჟისორი ბატონი გიგა ლორთქიფანიძე გახდა. „ეს საუკეთესო დასაწყისია რუსთავის თეატრისა და ჩემი საუკეთესო წლების დასაწყისიცაა", — ამბობს ლეილა. თუმცა ამას უფრო მკაფიოდ კრიტიკოს ვლ. ვოლოვის რეცენზია გამოხატავს — ახალგაზრდა თეატრს რომ უძღვნა მოსკოვში გასტროლების დროს: „რუსთავის თეატრის მსახიობთა თანავარსკვლავედი გაალამაზებს ნებისმიერი თეატრის სცენას. თითქმის ყველა მსახიობი მხატვრული ინდივიდია. პატარა ქალაქშიც შეიძლება შეიქმნას დიდი ხელოვნება."

რაც შეეხება თვით ლეილას შემოქმედებას, უბრალოდ, მინდა გადმოგცეთ, თუ როგორ აფასებენ ლ. შოთაძის ხელოვნებას მისი აღმზრდელი რეჟისორები და თეატრმცოდნეები.

ბატონი გიგა ლორთქიფანიძე: „იგი ყველა სპექტაკლში ქმნის ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეებს; ყველა ჟანრში ერთნაირად ძლიერი და დამაჯერებელია. სცენურია და ეფექტური მისი თამაში. ასევე დიდი ინტუიციით ართმევს თავს ფსიქოლოგიურად რთულ, ერთიმეორისაგან სრულიად განსხვავებულ როლებს. მისი ტალანტი საშუალებას აძლევს, ბევრად მეტი იქნეს თავის გმირზე, ვიდრე ამის შესაძლებლობას ტექსტი იძლევა."

რეჟისორი ანზორ ქუთათელაძე: „პირველად ლეილა „ბაბთიან გოგონაში" ვნახე, მელიტას როლში. უბედური გოგონას ფსიქოლოგიურმა და [illegible] ხასიათებმა, ხევდანაწ[illegible] ბამ, აქტიორული თამაშის [illegible] ქემ მაშინვე გამაოცა, რომ შოთაძეს გააჩნდა ემოციურად გადმოცემის განცდის უნარი. დიდი აქტიორული ტემპერამენტი [illegible] შემცვლია აზრი. მასთან ვიმუშავე ისეთ მნიშვნელოვან სპექტაკლებში, როგორიც იყო: „რას იტყვის ხალხი" და „რევიზორი". ის შესანიშნავად მოაზროვნე, შეიძლება ითქვას, რეჟისორის თანამოაზრე, დიდი შინაგანი სიღრმის, დაუშრეტელი ენერგიის მსახიობია".

გორკის პიესაში „ფსკერზე" ლეილამ შეასრულა ვასილისას როლი. თეატრის კრიტიკოსი ნინო შვანგირაძე წერს: „ლამის სათვის მეპატრონის, ვასილისას როლი ლ. შოთაძემ ღრმა დრამატიზმით, სისხლსავსედ და ყველა ნიუანსში გამართლებულად წარმოგვიდგინა".

ქუთაისის გასტროლების დროს, სპექტაკლ „აბანოში", მადამ მეზალიანსოვას სახეს ლეილა შოთაძე ასრულებდა. ამის შესახებ გამოკვეთილად აღნიშნა რეცენზენტმა: „უზადო გემოვნება, კოსტუმების ტარების კულტურა, ჟონგლიორება, აქტიორული ფერების გამოყენება — ამ მსახიობის განუყრელი თვისებებია. მისი შესრულებული მეზალიანსოვა გვაძლევს საფუძველს, განვაცხადოთ, რომ მას მაყურებლამდე გროტესკული სახის შთამბეჭდავად მიტანის დიდი ძალა და უნარი შესწევს."

თეატრის კრიტიკოსი, პროფესორი ვახო კიკნაძე: „სპექტაკლში „რას იტყვის ხალხი", ლ. შოთაძის თამაში გამოირჩევა მსუბუქი, თავისუფალი ირონიით და სატირით. ზოგჯერ გროტესკული მონახაზით, იგი მიუძღვის წვიმაში სამგლოვიარო პროცესიას და არა ჰარმონიულია მისი გმირის ხასიათი, შესრულების მანერა, მთელი ამ სცენის გადაწყვეტასთან".

თეატრმცოდნე, პროფესორი ეთერ გუგუშვილი: „ნ. მიქელის „დამოკლეს მახვილში" პენზიონ მოვაჭრე ქალიშვილის სახე დიდი პროფესიონალიზმით [illegible] ლ. შოთაძემ [illegible] გმირის როგორ ფსიქოლოგიაში ღრმად ჩაწვდა [illegible] შემთხვევა. მან [illegible] ყველა ნიუანსი, ყველა მისი განცდა და [illegible] მოუძებნა, თანაც ძუნწი და ძალდაუტანებელი შტრიხებით გამოამჟღავნა ყოველივე ეს."

ნუგზარ ლორთქიფანიძე, რეჟისორი: „ქალბატონ ლეილას აქვს გასაოცარი უნარი, მიაგნოს და გამოძერწოს პიესაში მოცემული პერსონაჟის მკვეთრი ხასიათი, რასაც ყოველთვის ახლავს ზომიერების საოცარი გრძნობა. თეატრალურ ხელოვნებაში ჩემთვის დასამახსოვრებელია და ღრმად შთამბეჭდავი ქალბატონი ლეილას მიერ შესრულებული მცირესიტყვიანი და უსიტყვო როლებიც კი, უმთავრეს როლებთან ერთად. ასეთი იყო: „ბაბთიანი გოგონა", „ლუბოვ იაროვაია", „ჰრიჟინა", „კომედიის ხელოვნება", „ფსკერზე", „აბანო", „მეფე ლირი", „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი", „რევიზორი", „ჯერ დაიხოცნენ და მერე იქორწინეს", „გვირგვილიანების ოჯახი", „თოლია" და კიდევ სხვა ბევრი. ფაქტია მხოლოდ ერთი — რაც კი უთამაშია, თითოეული მათგანი მისთვის ახალ-ახალი გამარჯვების მომტანია. ქალბატონ ლეილას ღვაწლს თეატრსა თუ კინომატოგრაფიაში დაფასებაც სათანადო ხვდა წილად — საქართველოს რესპუბლიკის სახალხო არტისტს ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის რამდენჯერმე აქვს მიღებული ფულადი პრემიები და სიგელები. ეს არის ხალხის სიყვარულისა და აღიარების გამოხატვა.

ყველას აქვს თავისი საფიცარი, ლეილას საფიცარი კი თეატრია...

დამანა მდივნიშვილი

# კიდევ ერთხელ პროფილაქტიკურ აცრებზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლო ორი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი იწერება პროფილაქტიკური აცრების გართულებებზე, ასაცრელი მასალების არადამაკმაყოფილებელ ხარისხზე და ა. შ. როგორც ჩვენი საზოგადოების ცხოვრების სხვა სფეროებში, ასევე მედიცინაშიც, ხდება მთელი რიგი საკითხების „გადაფასება". ეს ბუნებრივი მოვლენაა, მაგრამ ამის საპასუხოდ მოსახლეობა უარყოფითად განეწყო პროფილაქტიკური აცრების მიმართ და მთელ რიგ შემთხვევაში მშობლები უარს აცხადებენ აცრებზე. ამან კი განაპირობა ის, რომ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გახშირდა დიფტერიით დაავადების შემთხვევები, არის ეპიდემიის საშიშროება.

მინდა შევახსენო მოსახლეობას, თუ რა მოუტანა საზოგადოებას პროფილაქტიკურმა აცრებმა.

დედამიწაზე მოისპო ისეთი ინფექციური დაავადება, როგორიცაა ყვავილი. საუკუნეების განმავლობაში ყვავილის ინფექციამ იმსხვერპლა მილიონობით ადამიანი.

ძველი თაობის წარმომადგენლებს ახსოვთ, ალბათ, რამდენი ახალგაზრდა და ბავშვი დადიოდა ქუჩაში ყავარჯნებით და ორთოპედიული ფეხსაცმლით — გადატანილი პოლიომიელიტის გამო. დღეს ამის წარმოდგენა ძნელია და ეს ბედნიერება პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრების შედეგია.

ამის გარდა, მოსახლეობას კი არა, მგონი ექიმებსაც დაავიწყდათ უკვე რა მძიმე და ვერაგული დაავადებაა დიფტერია. ეს ინფექცია ანგინის სახით მიმდინარეობს და შემდეგ უეცრად უმძიმესად აზიანებს გულის კუნთს. რამდენი ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა ამ საშინელმა ინფექციამ.

ასევე ხშირი იყო ტუბერკულიოზის ესა თუ ის გამოვლინება არც ისე შორეულ წარსულში. ტუბერკულიოზური მენინგიტის ნარჩენი მოვლენები კი სიკვდილამდე თან სდევდა ადამიანს. დღეს კი, ტუბერკულიოზური მენინგიტის ერთი შემთხვევაც კი მთელი ქსელისათვის საგანგაშო სიგნალია. ეს სიკეთე ტუბერკულიოზის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრის (ბცჟ) შედეგია. შედარებით ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ ტუბერკულიოზის საწინააღმდეგოდ აცრილ მოსახლეობას შორის სიმსივნური დაავადებები მოზრდილ ასაკში გაცილებით უფრო იშვიათად გვხვდება, ბოლო დროს სიმსივნური დაავადებების მკურნალობის დროს არის ამ ვაქცინის გამოყენების ცდები.

ყველა არსებული პროფილაქტიკური აცრების შედეგების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მინდა აღვნიშნო, რომ პროფილაქტიკური აცრა მეცნიერების უდიდესი მონაპოვარია. კაცობრიობამ ის თავის საკეთილდღეოდ გამოიყენა. დღეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენი შვილები დავიცვათ ინფექციისგან.

რა ხდება ორგანიზმში პროფილაქტიკური აცრის დროს? ორგანიზმში შეგვყავს დაავადების გამომწვევი მიკრობი თუ ვირუსის შესუსტებული (ან ინაქტივირებული, ე. ი. არაცოცხალი, მკვდარი) შტამი. ამის საპასუხოდ ორგანიზმში გამომუშავდება სათანადო ანტისხეულები, სპეციფიკური ცილა. ინფექციის გამომწვევი მიკრობის თუ ვირუსის შეჭრის დროს ეს ცილა მათ ბლოკირებას უწევს და ინფექციური დაავადება ვერ ვითარდება.

ბოლო დროს ბევრი იწერება იმის თაობაზე, რომ ჩვენი, საბჭოური, ასაცრელი მასალა სხვა ქვეყნებისაზე უფრო დაბალი ხარისხისაა. ჩვენი ანტიბიოტიკებიც ხომ რიგ შემთხვევაში საზღვარგარეთულზე დაბალი ხარისხისაა, მაგრამ ხომ ვიყენებთ მათ სამკურნალოდ? აქვე მინდა აღვნიშნო, რომ მედიკამენტოზური მკურნალობის გვერდითი მოვლენები გაცილებით უფრო ხშირია, ვიდრე აცრის ჩატარებისას, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ხელი ავიღოთ მკურნალობაზე?

მთავარია ერთი რამ — ყველა შემთხვევაში აცრის ჩატარების საკითხი ინდივიდუალურად გადაწყდეს. დღეს ბევრი საშუალება არსებობს იმისათვის, რომ პროფილაქტიკური აცრა უფრო მომჭირნეობით მოეწყოს.

ჩვეულებრივი ვაქცინების გარდა გამოიყენება ე. წ. M ვაქცინა, რომელიც უფრო სუსტია, უფრო ფართო კონტინგენტის აცრის საშუალებას იძლევა. ამის გარდა, თუ ბავშვს ალერგიული დიათეზის ან სხვა ალერგიული დაავადების კლინიკური გამოვლინება აქვს, შესაძლებელია მისი სათანადო მომზადება და შემდეგ აცრა და ა. შ. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ასეთი ბავშვის აცრა გვიჭირს, მაშინ იგი როგორ გადაიტანს ინფექციურ დაავადებას? ის ხომ მძიმედ მიმდინარეობს ისეთ ბავშვებში, რომლებსაც ალერგიული განწყობა აქვთ, ან რაქიტი, სისხლნაკლულობა, ნერვული სისტემის დაზიანება, კვების დარღვევა ან სხვა ცვლილებები აღენიშნებათ. ამიტომ, უმჯობესია ჩვენება-უკუჩვენებებისა და სათანადო წესების გათვალისწინებით ამ კონტინგენტის ბავშვების დროული აცრა.

აუცილებლად უნდა აიცრას ყველა ის ბავშვი, რომელსაც პროფილაქტიკური აცრა ეკუთვნის და მისთვის აცრა შეიძლება. **პროფილაქტიკური აცრის არ ჩატარება იქ, სადაც ეს შეიძლება, დანაშაულია ბავშვის წინაშე.** პროფილაქტიკური აცრები უნდა ჩატარდეს ყველა ჩვენება-უკუჩვენებების მკაცრი გათვალისწინებით.

ერთი რამ უნდა გვახსოვდეს — პროფილაქტიკური აცრით ჩვენ ვიცავთ ჩვენს შვილებს უმძიმესი ინფექციური დაავადებებისაგან.

**ლუდმილა ლომია,**
პედიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. თბილისის მთავარი პედიატრი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

# ჟაკლინ ბუვიე და მისი ორი ქმარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

„XX საუკუნეში მას ინგლისის დედოფლისა და უელსის პრინცესას
არდა, შესაძლოა, ყველაზე ხშირად
ულებდნენ ფოტოებს“ ასე წერდა
აზეთი „დეილი ტელეგრაფი“ ამ
ცნობილი ქალის შესახებ. რამდენი-
ე ათწლეულის მანძილზე მთელი
მსოფლიოს რეპორტიორები მას
ეხდაფებ დაჰყვებოდნენ. ათობით,
სობით ფოტოსურათმა, რომლებიც
ბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთების
ფურცლებზე, მისი სახე იოლად
გამოსაცნობი და თითქმის ლეგენდა-
რული გახადა“.

ჯაკლინ ბუვიეს, რომელიც დაი-
ბადა და გაიზარდა შეძლებულ, ამე-
რიკული საზომით, არისტოკრატულ
ოჯახში, საერთო აღიარებით, ცხო-
ვრებაში ძალზე — გაუმართლა: იყო
უნარიანი ჟურნალისტი, ფლობდა
სამ უცხო ენას. ამავე დროს გამო-
ირჩეოდა განსაკუთრებული გარე-
გნობით, ამიტომ ყველა დარგში
სწრაფი წარმატების იმედიც უნდა
ჰქონოდა.

1951 წლის გაზაფხულზე ჟაკლი-
ნმა გაიცნო ახალგაზრდა სენატორი, ამერიკის შეერთებული შტატების მომავალი 35-ე პრეზიდენტი ჯონ ფიცჯერალდ კენედი.

მათ იქორწინეს 1953 წლის 12 სექტემბერს, რაც ამერიკის მაღალ წრეებში სხვადასხვაგვარად აღიქვეს. ზოგმა იგი მიიჩნია „წმინდა საქმიან ქორწინებად“. სხვები ამბობდნენ, რომ ჯონი და ჟაკლინი „შესანიშნავი წყვილი“ აღმოჩნდა.

კენედის როგორც სენატორის და შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობებმა განსაზღვრეს ჟკლინისი ცხოვრების განსაკუთრებული სტილი მათი ერთად ცხოვრების მთელი ათწლეულის მანძილზე.

რეპორტიორები დაწვრილებით აღწერდნენ ამერიკის „პირველი ლედის“ მდიდრულ გარდერობსა და მორთულობებს, მის გემოვნებასა და ჰობს. მაგალითად, იუწყებოდნენ, რომ პრეზიდენტის მეუღლეს უყვარს



ჟაკლინ კენედი (შუაში), ქალიშვილი კეროლინ კენედი შლოსბერგი, სიძე ედვინ შლოსბერგი და შვილიშვილი

ცურვა, წყლის თხილამურებით და ცხენით სეირნობა, ხოლო ინდოეთსა და პაკისტანში პრეზიდენტის მოგზაურობის დროს სიამოვნებით ჯდებოდა სპილოზე.

პრეზიდენტის ახალგაზრდა მეუღლის ცხოვრებაში უფრო სერიოზული ამბებიც მომხდარა. მაგალითად, ქმართან ერთად ჟაკლინმა ბევრი რამ იღონა ამერიკის დედაქალაქის კეთილმოწყობისათვის. იგი პირადად ხელმძღვანელობდა თეთრი სახლის რესტავრაციას.

მაგრამ, მისი მთავარი მიზანი იყო ბავშვების — ქალიშვილის კაროლინასა და ვაჟის ჯონის ნორმალური ცხოვრების, აგრეთვე, ოჯახური სიმყუდროვის უზრუნველყოფა.

იმ ბიზნესმენთა შორის, რომელთა საზოგადოებაში ყოფნაც უხდებოდათ ცოლ-ქმარ კენედებს, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ბერძენ მულტიმილიონერ — გემთმფლობელს არისტოტელ ონასისს.

ონასისი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვანთაგანი იყო, რომელიც კენედების საოჯახო კლანს არ ეკუთვნოდა, ვისაც 1963 წლის 22 ნოემბერს, პრეზიდენტის მოკვლიდან სულ რამდენიმე საათის შემდეგ მოუვიდა მიწვევა დასწრებოდა დაკრძალვას, როგორც საპატიო სტუმარი.

ონასისის ზოგიერთი ბიოგრაფის მონაცემებით, მისი და ჟაკლინის რომანი თითქმის დაკრძალვის დღესვე დაიწყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ პერიოდის დასავლეთის პრესაში ბევრი სენსაციური ცნობა გამოქვეყნდა.

ჯონ კენედის ნათესავები, უწინარეს ყოვლისა მისი ძმა რობერტი, პოლიტიკურად საშიშ მოვლენად მიიჩნევდნენ ამერიკის პრეზიდენტის ქვრივისა და ბერძენი გემთმფლობელის კავშირს. შესაძლოა ამიტომაც ჟაკლინმა და არისტოტელმა ოფიციალურად მხოლოდ 1968 წლის 20 ოქტომბერს იქორწინეს რობერტის სიკვდილის შემდეგ.

ჟაკლინის მეორე ქორწინებამ, „უმაღლეს წრეებში“ პირველზე არანაკლები მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ზოგმა აზრიც გამოთქვა, რომ იგი საიმედო მფარველს ეძებდა თავისთვის და შვილებისათვის.

საქორწინო კონტრაქტი მოიცავდა 178 მუხლს. მასში ყველაფერი იყო გათვალისწინებული: ჟაკლინისათვისი ახალი კაბების შესაძენად ყოველთვიური ხარჯები (10 ათასი დოლარი) და მცველთა ხელფასიც (6 ათასი დოლარი).

მომდევნო რამდენიმე წელიწადს ჟაკლინს ხედავენ ნიუ-იორკის მდიდართა კვარტალში გამართულ საღამოებზე. მას იქ ჰქონდა მდიდრული აპარტამენტები. იგი ნიუ იორკიდან ხშირად ჩადიოდა პარიზში, ფეშენებელურ მაღაზიებში ხელაღებით იძენდა მოდის ბოლო სიახლეებს. (იხსენებდნენ, რომ ერთხელ მან ერთ დღეს შეიძინა 200 წყვილი ფეხსაცმელი).

მოგვიანებით ნაცნობთა წრეში ონასისმა ცოლის ამგვარ ქცევას უწოდა „გამომწვევი“, და დასძინა, რომ ჟაკლინის „მიმდინარე ხარჯები“ მისი ჯიბისთვისაც კი მძიმე იყო.

ამ და სხვა მიზეზების გამო (მათ შორის ონასისის მოზრდილი შვილების გულცივი დამოკიდებულება თავიანთი ახალი დედინაცვლისადმი) ჟაკლინისა და არისტოტელეს ურთიერთობა თანდათან დაიძაბა, ამის შედეგად გემთმფლობელის მემკვიდრეობის უდიდესი ნაწილი 1975 წელს, მისი სიკვდილის შემდეგ, დარჩა არა მის ქვრის, არამედ ქალიშვილს პირველი ქორწინებიდან — ქრისტინეს.

როგორც მიაჩნიათ, ჟაკლინ ბუვიეს ქორწინების ისტორია ამით არ მთავრდება, იმის მიუხედავად, რომ მესამე ქორწინების პროგნოზი პრესაში საკმაოდ ბევრი იყო. კენედის ქონებამ და ონასისის მემკვიდრეობის ნაწილმა ჟაკლინს საშუალება მისცა მილიონერივით ეცხოვრა ნიუ-იორკის გარეუბნის მდიდრულ მამულში საიმედო დაცვის თანხლებით.

იმის მიუხედავად, რომ ჟაკლინს არ უხდებოდა ლუკმა-პურის შოვნისათვის ზრუნვა, ონასისის სიკვდილის შემდეგ იგი რამდენიმე გამომცემლობაში მუშაობდა. 1988 წელს იგი იყო „როკ ვარსკვლავის“ მაიკ ჯექსონის ბიოგრაფიის რედაქტორი.

რამდენიმე პლასტიკურმა ოპერაციამ (ერთ-ერთი მათგანის გასაკეთებლად რიო-დე ჟანეიროშიც კი გაფრინდა) — ჟაკლინს შეუნარჩუნა ახალგაზრდობა, დილაობით იგი „ძუნძულით“ დარბის ნიუ-იორკის ცენტრალურ პარკში.

უკან დარჩა შიში შვილების მომავალი ბედის გამო (ზოგჯერ არც უსაფუძვლო. მაგალითად, 1977 წელს ლონდონში ააფეთქეს მისი ქალიშვილის— კაროლინას ავტომობილი, ხოლო თვითონ რაღაც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს). დღეს ჯონი ცნობილი ადვოკატია, კაროლინა კი დედის კვალს გაჰყვა — ჟურნალისტია. თითქმის ყოველ არდადეგებზე ჟაკლინს ესტუმრება ხოლმე მისი შვილიშვილი.

შარშან ჟაკლინ ბუვიე — კენედი — ონასისს 60 წელი შეუსრულდა.

# სამზარეულო სუფრა

## „ქვაფენილი“

ქართული სამზარეულო რომ საქვეყნოდ აღიარებულია, ამაში ვერავინ შეგვედავება. არც ის არის სადაო, ყოველი ათი ქართველი ქალიდან შვიდი მაინც რომ საუკეთესო დიასახლისი და მზარეულია, მაგრამ ჩვენი კერძების მრავალსახეობის მიუხედავად, ხშირად ბევრ კარგ დიასახლისსაც გაუჩნდება ხოლმე თავსატეხი: „რა გავაკეთო“! ჰოდა, რა გასაკვირია, თუ ახალბედა დიასახლისს ან საერთოდ ახალგაზრდა ქალს, შეაწუხებს ამის ფიქრი: ყველა პროდუქტი მაქვს და არ ვიცი რა გავაკეთო, ან პირიქით — ნახევარი კილო ხორცის მეტი არაფერი მაქვს და ვერ მომიფიქრებია რა მოვამზადო.

ყველა დიასახლისს ერთი რამ უნდა ახსოვდეს, კერძის მოსამზადებლად მთავარია განწყობა და მონდომება. თუ არ განეწყვეთ, თუ გეზარებათ და კერძს მოვალეობის გამო იძულებით ამზადებთ, არასოდეს გემრიელი არ გამოგივათ. ხომ გაგიგიათ, არაფერი დამიკლია და უგემური გამომივიდაო...

სიტყვამ მოიტანა და შეგახსენებთ: ნახევარი კილო ხორცით შეგიძლიათ მოამზადოთ წვნიანი ან „ბორში“, ხოლო მოხარშული ხორცისგან ნამცხვარი ღვეზელი, ხორცი ბლინში, ხორციანი მაკარონი, ან მოშუშეთ 3-4 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი, დაუმატეთ ნახევარი კილო კანგაცლილი, დაჭრილი პამიდორი (ან ტომატი) და განაგრძეთ მოშუშვა, შემდეგ შეურიეთ წვრილად დაჭრილი მოხარშული ხორცი, შეაზავეთ ნივრით, ოხრახუშით, მარილით, პილპილით და... „ნახევარი კილო ხორცით“ ორნაირი კერძით დაამშვენებთ თქვენს სუფრას.

დიდი ხნის უნახავ ახლობელს გაუფრთხილებლად ვეწვიე (იგი ნაცნობ-მეგობრებში იდეალურ დიასახლისად არის აღიარებული), კარი რომ გამიღო, ოთახიდან სიცილ-კისკისი შემომესმა, შევცბი, სტუმრები გყოლიათ-მეთქი. ჩემი ქალიშვილის მეგობრები არიან და „ქვაფენილით“ დროს ატარებენო. ქვაფენილი რა არის-მეთქი? „მხიარულების სიურპრიზიო“. პატარა ბურთულებივით ღვეზელში ჩადებულ პაწაწინა ქა-

ლალდზე ლექსის, ან შაირის დასაწყისი ვისაც შეხვდება, იმან ბოლომდე უნდა დაასრულოს იგი, თუ არ იცის, მეორე განაგრძობს, თუმცა, თავად უკეთ გაიგებ, რაც არისო, — მითხრა და ძალით შემიყვანა ახალგაზრდებთან.

გოგონები აძრობდნენ ღვეზელიდან „ლექსს“, „სიმღერას“, „ცეკვას“, „შაირს“ და მართლაც, მხიარული საღამო ჰქონდათ.

იმათგან ბევრი უკვე შეიტყობდა ღვეზელი „ქვაფენილის“ სიკეთეს, მაგრამ, ჟურნალ „მანდილის“ უამრავ მკითხველს, ვისაც ძალიან უყვარს ლექსები, შაირობა, კაფიაობა, სიმღერა, მაგრამ ერთმანეთთან თავშეყრას „რა მიართვას“ მიზეზით ერიდებიან, გვინდა ხელი შევუწყოთ სულიერ სიამოვნებაში ღვეზელი „ქვაფენილით“ და „გავანდოთ“ ქალბატონ ლეილას მხიარულების სიურპრიზის საიდუმლო.

## ღვეზელი „ქვაფენილი“ ანუ „მხიარულების სიურპრიზი“

150 გრამი შერბილებული კარაქი მოათავსეთ თასზე, დაზილეთ ხის კოვზით, დაუმატეთ ორი კვერცხი, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 1 ჭიქა მაწონი 1 ჩაის კოვზი სოდით. ეს ყველაფერი კარგად აურიეთ და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ფაფუკი ცომი, რომელსაც გააბრტყელებთ ფქვილმოყრილ ფიცარზე და დაჭრით თხელი ჩაის ჭიქით. თითოეულ ცომზე მოათავსებთ თითო ჩაის კოვზ სატენს (სასურველია გქონდეთ სატენის ნაირსახეობა: კარტოფილის, ყველის, ხაჭოს, კომბოსტოსი, შეგიძლიათ გამოიყენოთ ჯემიც, მაგრამ მთავარი და აუცილებელი „ლექსების“, შაირების, ანეკდოტების სატენია“ როგორ? დაჭერით პატარა ზომის ქაღალდები (5 სმ-5 სმ), დაწერეთ თითოეულზე შაირის, ლექსის თითო კუპლეტი, ან მხოლოდ „ანეკდოტი“, „კაფია“, „კურიოზული ამბავი“, „იმღერეთ რამე“ „იცეკვეთ“ და ა. შ. თითოეული ნაწერი ქაღალდი დაკეცეთ წვრილად, გახვიეთ ფოლგაში და „მხიარულების სიურპრიზისათვის“ მასაც ჩადებთ ცომში.) მოუკრავთ თავს, დაამრგვალებთ ბურთისებურად, შემდეგ სათითაოდ ამოავლებთ ცხიმში (უმჯობესია ზეითუნის ზეთი ან გამდნარი კარაქი) და მჭიდროთ დააწყობთ გაზქურის დიდ საცხობ ტაფაზე. ცხვება საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე 20-25 წუთი.

## ღვეზელი ტარხუნით

**მასალა ცომისათვის:** 200 გრამი კარაქი, 1 ქილა მაწონი, 2 კვერცხის ცილა, 1 ჩაის კოვზი სოდა, ნახევარი ჩაის კოვზი მარილი.

მომინანქრებულ თასზე მოათავსეთ შერბილებული კარაქი, ცილა, მარილი და კარგად ათქვიფეთ. შემდეგ დაუმატეთ სოდიანი მაწონი, აურიეთ ერთმანეთში და შეაზილეთ იმდენი ფქვილი, რომ მიიღოთ ზომიერად რბილი ცომი (ვიდრე მაგარი), შემდეგ ცომს გადააფარეთ ტილო და „დაასვენეთ“, რათა გაფუვდეს.

## ღვეზელის სატენი

ცომის ამოსვლამდე მოამზადეთ ღვეზელის სატენი, რისთვისაც საჭიროა: 100-120 გრამ კარაქში მოშუშოთ ძალიან წვრილად დაჭრილი 1 კილოგრამი ხახვი, მოიშუშება თუ არა ხახვი, სწრაფად შეურიეთ მოხარშული და წვრილად დაჭრილი კვერცხი, სამი კონა დარჩეული წვრილად დაჭრილი ტარხუნა, მარილი, შავი პილპილი გემოვნებით და 1-2 წუთის შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან.

ამოსული ცომი გაყავით ორ ნაწილად (ღვეზელის ქვედა ფენისათვის ცომის ერთი ნაწილი ოდნავ მეტი იყოს) გააბრტყელეთ, მოათავსეთ გაზქურის დიდ საცხობ ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ) ტაფაზე. ზედ თანაბრად გაანაწილეთ სატენი, გააბრტყელეთ მეორე გუნდა, გადააფარეთ ზემოდან და წაუსვით ცომიდან მორჩენილი 2 კვერცხის გული. ცხვება საშუალო სიმხურვალის გაზქურაში.

ლეილა გურჭულაძე
პედაგოგი

## რჩევები • რჩევები • რჩევები

### როგორ დავამზადოთ ხაჭო?

ქვაბში ჩაასხით ლიტრი რძე და 70-80 გრადუსამდე გააცხელეთ (ადუღებამდე ნუ მიიყვანთ). შემდეგ განუწყვეტელი მორევით რძეში ჩაუმატეთ ნახევარი ლიტრი მაწონი (შეიძლება მის ნაცვლად იხმაროთ ახალი არაჟანიც). ცეცხლს დაუწიეთ და მორევა არ შეწყვიტოთ. რამდენიმე წუთში დაიწყება ხაჭოს ფთილების წარმოქმნა. თუ ამ დროს კოვზს ქვაბის ნაპირიდან შუაგულისაკენ გამოატარებთ, გამოჩნდება შრატის ზოლი. ამ დროს ქვაბი გადმოდგით და შეაგრილეთ.

თუ წყლის თერმომეტრი არა გაქვთ და საჭირო ტემპერატურას ვერ საზღვრავთ, მაშინ ხაჭო სხვა წესით მოამზადეთ: აიღეთ ორი ქვაბი (ერთი მეორეში თავისუფლად უნდა თავსდებოდეს). მომცრო ქვაბში რძე ჩაასხით და ჩადგით მოზრდილში, სადაც წყალია ჩასხმული. შედგით ცეცხლზე და როგორც კი წყალი წამოდუღდება, რძიან ქვაბში კოვზის მორევით ჩაუმატეთ მაწონი და ასე ურიეთ 10-15 წუთს, ვიდრე ხაჭო წარმოიქმნება. მერე შეაგრილეთ, 2-3 საათის შემდეგ გაწურეთ ორმაგ დოლბანდში და რამდენიმე საათით ჩამოკიდეთ სამზარეულოს ბაკნის თავზე, რომ წყლისგან დაიწრიტოს. გამზადებული ხაჭო აუცილებლად მაცივარში შეინახეთ.

ერთი წესი უთუოდ დაიხსომეთ: არასგზით არ იხმაროთ ხაჭოს დასამზადებლად თავისით ამჟავებული რძე, რადგან შესაძლოა მასში დაავადების გამომწვევი მიკრობები იყოს. ასეთი რძისაგან მიღებულმა ხაჭომ შეიძლება მოწამვლა გამოიწვიოს.

### პური უკეთესად შეინახება

პური რომ დიდხანს არ დაობდეს, საპურე კვირაში ერთხელ გარეცხეთ სუსტი ძმრიანი წყლით და მერე კარგათ გააშრეთ. თუ საპურეში ვაშლის რამდენიმე ნაჭერს, გათლილ კარტოფილს ან ცოტაოდენ მარილს მოათავსებთ, პური მეტ ხანს გასძლებს.

გამხმარი თეთრი პურისაგან გემრიელი და ნოყიერი საუზმის — „გრენკის“ დამზადება შეგიძლიათ. ამისთვის პურის ნაჭრებს თხლად გადაუსვით კარაქი, ზემოდან კი დაფშვნილი ყველი მოაყარეთ და 5-10 წუთით შედგით ჰაერღუმელში, ვიდრე ყველი დნობას დაიწყებს.

### თაფლის შენახვა

არ შეიძლება თაფლის შენახვა ლითონის ჭურჭელში, ან თაფლიან ქილაში კოვზის და დანის ჩატოვება. თაფლი მეტად ფასეულ ორგანულ მჟავებს შეიცავს, რომლებიც ლითონის შეხებისგან იშლება.

# სამსახურშიც კოხტად ჩვეცვას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანსაცმელი, ქალს რომ სამსახურში აცვია, სატარებლად მოხერხებული, პრაქტიკული, ელეგანტური და ზომიერად მოდაზე შეკერილი უნდა იყოს. ანგარიშგასაწევია პროფესიაც. მასწავლებლის ჩაცმულობა, საკლასო ოთახში ყმაწვილების ცნობისმოყვარე, დაინტერესებულ მზერას რომ იზიდავს, მისაბაძი უნდა გახდეს მათთვის. ჟურნალისტის კოსტუმი თანამოსაუბრის ნდობასა და პატივისცემას უნდა იწვევდეს. დაწესებულების მდივნის ჩაცმულობით მომსვლელებს ხშირად მის ორგანიზაციაზე ექმნებათ შთაბეჭდილება, ხოლო ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე ქალის გარეგნულ იერზე ხშირად არის დამოკიდებული საკუთარი ავტორიტეტიც და მისი უწყების (ინსტიტუტის, სამმართველოს...) პრესტიჟიც.

ჩაცმის თაობაზე კატეგორიული რეკომენდაციების გაცემა ძნელია, რადგან ცვალებადია მოდა, იცვლება შეხედულებები. მაგრამ არის წესები, რომელთაც ყავლი არ გაუდის. ერთ-ერთი მათგანი ის გახლავთ, რომ სამსახურში სასიარულო ტანსაცმელი არ უნდა იყოს შეკერილი ძვირფასი ქსოვილისაგან, როგორიცაა ფარჩა, ატლას-მაქმანური ქსოვილი, ხავერდი და სხვა. ეს მასალა მშვენიერია გამოსასვლელი კაბებისათვის, რომლებსაც ქორწილდღეობებში, თეატრში თუ რაიმე საზეიმო საღამოზე ჩაიცვამთ.

რაც შეეხება ტანსაცმლის მოდელს, ფასონს, აქ თავი უნდა ავარიდოთ ე. წ. ფანტაზიურ, გადაპრანჭულ სტილს. სჯობს სადა იყოს ტანსაცმლის დეტალები, გასაწყობი მასალა და ბიჟუტერია. მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ დაწესებულების გარემოს არც ზედმიწევნით სპორტული ყაიდის კურტაკები და შორტები უხდება. სამსახურში შარვლით სიარული შეუძლიათ მხოლოდ კოხტა და თხელი აგებულების ახალგაზრდა ქალებს, ისიც მაშინ, თუ მათი პროფესია ამას იხდენს (ვთქვათ, ფიზკულტურის მასწავლებლებს, მხატვრებს, მივლინებაში მყოფ ჟურნალისტებს).

სამუშაო ტანსაცმლის ყველაზე უნივერსალური ვარიანტია კოსტიუმი. ის პრაქტიკულია, მისი ტარება მოხერხებულია ქუჩაშიც და დაწესებულებაშიც. ბლუზებისა და შარფების მონაცვლეობით შეგიძლიათ კოსტუმს სულ ნაირ-ნაირი, ახალი იერი მიანიჭოთ.

საკოსტუმე ქსოვილის შერჩევას დიდი მნიშვნელობა აქვს. კარგი კოსტუმი იკერება გაბარდინის, თხელი მაუდის, ტვიდისა და ტილოს ქსოვილისაგან. ჟაკეტისა და ქვედატანის სიგრძეს, საყელოსა და ბორტების ფორმას და სხვა დეტალებს მოდა განსაზღვრავს. კლასიკური სტილის კოსტუმი შეიძლება 8-5 წელიც ატაროთ ისე, რომ მოდიდან არ გადავა. ტანსრულმა ქალებმა, მოდის ტენდენციის მიუხედავად, სჯობს პიჯაკი გრძელი შეიკერონ.

თუ პიჯაკის ქვემოთ ლამაზ ბლუზას ჩაიცვამთ, ასე შეიძლება თეატრშიც წაბრძანდეთ. და თუ სამსახურიდან შინ გასავლელად დრო აღარ გრჩებათ, დილით სამსახურში წაიღეთ საღამოსათვის შესაფერი ფეხსაცმელი და ბიჟუტერია. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ძვირფასი და დახვეწილი აქსესუარები არ უხდება სპორტული ყაიდის კოსტუმს. მაგალითად, ტვიდის კოსტუმს არ უხდება მაღალქუსლიანი, ნავისებურად ამოჭრილი შევროს ან ლაქის ფეხსაცმელი, გაბარდინის კოსტუმისთვის კი ამგვარი ფეხსაცმელი ზედგამოჭრილია. სპორტულ კოსტუმს მშვენივრად ეხამება მოკასინები ან სხვა სახის თასმაშეკრული ფეხსაცმელი (უქუსლო, დაბალქუსლიანი ან ე. წ. „ტანკეტკაზე“ — მოდის მიხედვით), ბერეტი, შარფი და ტყავის ხელთათმანები. კოსტუმის სპორტულ ხასიათს უნდა შეეფერებოდეს ხელჩანთაც დეკორატიული გვირისტით, ბალთებით, გრძელი ან მოკლე სახელურით.

თქვენი გარდერობი მრავალფეროვანი გახდება, თუ ძირითად კოსტუმს დაუმატებთ მისი ტონალობის შესაფერ ერთი ფერის პიჯაკს ან ბლეიზერს და ერთ-ორ ქვედატანს, რომლებსაც კოსტუმის პიჯაკთან და ბლეიზერთან იხმართ. შეიკერეთ ან შეიძინეთ კიდევ მამაკაცის პერანგის ტიპის რამდენიმე ბლუზა, ნაქსოვი ჟილეტი და ჯემპრი, ჰოდა, შეგიძლიათ მათი მონაცვლეობით ათობით ვარიანტი და კომბინაცია შექმნათ, ასე რომ, მშვენივრად გამოეწყობით.

რედაქციის მისამართი — მ. კოსტავას ქ. № 14. ტელეფონის №№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის — 93-25-64, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების — 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, ტექნიკური რედაქტორის — 93-98-58, საერთო განყოფილების — 93-98-54 მასალები გადაეცა ასაწყობად 6.08.90 წ., ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.09.90 წ., ქაღალდის ზომა 60+90¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8, ტირაჟი 177 000. შეკვ. 1759.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ფასი 30 კაპ.

# ძვირფასო დედებო!

ჩვენი ჟურნალის პუბლიკაციიდან შევიტყვეთ. საქართველოში ჯარისკაცთა დედების ასოციაციის შექმნის ამბავი. გვახარებს, რომ დედათა გულებში ძლიერდება ზრუნვა და სიყვარული ყველას შვილების მიმართ და იწყება მოქმედება მათ დასაცავად.

როგორ მოვახერხოთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით დავაჩქაროთ ისეთი რეფორმები არმიის, სახელმწიფო უშიშროების დაცვისა თუ შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარის ნაწილებში, რომლებიც კანონით წინაღუდგებოდა და უაზრო დაღუპვისაგან იხსნიდა ჩვენს ახალგაზრდობას?

1990 წლის საგაზაფხულო გაწვევა კვლავ ჩაყრის ასიათასობით ახალგაზრდას ყაზარმული ხულიგნობის ისეთ ხორცსაკეპ მანქანაში, რომელიც ასახიჩრებს მათს სულსა და სხეულს, მიჰყავს ისინი თვითმკვლელობამდე.

ჩვენი კომიტეტი ადგენს წინადადებას დედათა საბჭოებისა თუ ჯგუფების შექმნის თაობაზე, რომლებსაც ექნებოდათ უახლოეს სამხედრო ნაწილში შესვლის უფლება.

ინსპექტორ გენერლებს არ სურთ ამჩნევდნენ „ძველბიჭებისა“ „დედოვშჩინა“) და კუთხურობის წყალობით ცემით დალილავებულ, დაიარებულ, მოღუშულ, გასაცოდავებულ ჯარისკაცებს. მაგრამ დედის თვალს არმიის ეს ბოროტმოქმედება არ გამოეპარება.

გავერთიანდეთ, რათა ერთად ვიმოქმედოთ მათზე, ვინაც წყვეტს ჯარისკაცთა ბედს — პრესის, დეპუტატების, წერილების, მიმართვების, გამოსვლების საშუალებით ვაიძულოთ სამინისტროები და პოლიტსამმართველოები, რათა გაიგონ: ყოველი სიცოცხლე უძვირფასესია! ყოველი დამცირებული, ნაცემი ჯარისკაცი და მეზღვაური — ჭრილობაა დედის გულზე, ვინც არ უნდა იყოს, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი.

ვუსურვებ ჩემს დებს — საქართველოს დედებს ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებებს.

ველით თქვენს პასუხს.

ჯარისკაცთა დედების კომიტეტის დავალებით. კომიტეტის მდივანი **მელნიკოვა ვალენტინა.**

მოსკოვი, იაშენევიჩის ქ. №32.

**რედაქციის მინაწერი:**

შემზარავია გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტი“-ში (№ 29, 22-VII-90წ.) გამოქვეყნებული ინფორმაცია: „მხოლოდ გარდაქმნის პერიოდში „ძველბიჭობისა“ და არასაწესდებო დამოკიდებულების შემდეგ, არმიის საჯარისო ნაწილებში 15000 ჯარისკაცი დაიღუპა — მეტი ვიდრე ავღანეთმა შეიწირა ათ წელიწადში. როცა ძველ სამხედრო მოსამსახურეთა მხრივ აუტანელი ხდებოდა აბუჩად აგდება, თვრამეტი წლის ბიჭები სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებდნენ. ახალწვეულებს ასახიჩრებდნენ იმისათვის, რომ მათ არ მოისურვეს თავის დამცირება... მხოლოდ შარშან დაიღუპა 3900 ახალწვეული...

ჰონორარი გადაირიცხოს რესპუბლიკურ ბინსოცბანკში, ჯარისკაცთა დედების რესპუბლიკური ასოციაციის ანგარიშზე № 001700722.

# უნივერსალური, პოპულარული

აბა გამოიცანით, ქალის ტუალეტის რომელი საგნით შეიძლება მოიგერიოთ ბუზი და ბზიკი, თავი შეაფაროთ მზესა და წვიმას, უჩვენოთ მოძრაობის მიმართულება, დაფაროთ ღიმილი, უფერული სახის კანი, ან ემოციები — სიხარული, მოუთმენლობა, გაბრაზება? ამ კითხვაზე შეუძლიათ მხოლოდ აღმოსავლეთში უპასუხონ — რასაკვირველია ეს მარაო გახლავთ.

მარაო განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ძველ ჩინეთში, სადაც პირველად გამოიგონეს. მოგვიანებით იგი გავრცელდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, კერძოდ, კორეის ნახევარკუნძულზე. მარაოს ფართოდ იყენებდნენ კორეის იმპერატორის კარზე, თეატრის სცენაზე, უბრალო მოქალაქეები ყოველდღიურ ცხოვრებაში. ტრადიციულად ქალის ტუალეტის ამ უნივერსალურ საგანს ამზადებდნენ ორი სახისას — დასაკეცსა და გაშლილს. ყველაზე ძვირფასი მარაოსათვის იყენებენ მსხლისა და თხილის ხეს (სახელურის გასაკეთებლად), ბამბუკს, რომლის ლერწისაგან მზადდება მყარი კარკასი, აგრეთვე თუთის ხისაგან მიღებულ ქაღალდს. როგორც წესი, მარაოზე სურათებისა და ორნამენტების დასახატად იწვევენ ყველაზე გამოცდილ და ცნობილ მხატვრებს, განსაკუთრებით იმათ, ვინც თავი ისახელა ზედა ტანსაცმლის დიზაინის დარგში.

სამხრეთ კორეაში დღეს აღნიშნავენ მარაოს კიდევ ერთ თავისებურებას — იგი შეიძლება გამოდგეს „ეკონომიკური კლიმატის“ განმსაზღვრელ ბარომეტრად. აქ დიდი ხანია შეამჩნიეს, რომ „მარაოს ბუმი“ იწყება მაშინ, როცა ქვეყნის ეკონომიკა აღმავლობის გზაზეა, იზრდება ხალხის ცხოვრების დონე. ეკონომიკური დეპრესიების, დეფიციტისა და შიმშილობის დროს კი ტუალეტის ეს საგანი პრაქტიკულად ქრება ადამიანთა ყოფიდან.



**სურათზე:** ხელოვანი ოსტატების მიერ დამზადებული ფართო ასორტიმენტის მარაოს ნიმუშები.

6 133/129

ინდექსი 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფასი 30 კაპ.